სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 აგვისტო 2004 №181 (2202) | ფასი 50 თეთრი

თბილისი 3:0 ჯოლხეთი

ბადრი ჯორბენაძის ფოტო

დავით მახარაძის „ჯოლხეთს" ცუდად არ უთამაშია, მაგრამ „ლეგიასთვის" გამზადებული „თბილისისგან" სამი ბურთი მაინც მიიღო. დღეს და ხვალ ჯი საქართველოს ახალდაწყებული ჩემპიონატის მეორე ტურის დანარჩენი მატჩებია, ამათგან მთავარი ხვალინდელი მცხეთური „ვიტ ჯორჯია" – „დინამოა".

REUTERS დონეცკიდან

უკვე დონეცკის მეტალურგელ გიორგი გახოკიძეს გუშინ პრეზენტაცია ჰქონდა და ერთწლიან კონტრაქტთან ერთად ორი ხუთიანიც მიიღო.

ბუნდესკაზული

შუქი მოვიდა!

REUTERS ბრემენიდან

გუშინ ბუნდესლიგა ქართულად დაიწყო: პირველი ტურის პირველი მატჩი ჯარგახანს ვერ დაიწყო. მიზეზი ჩვენებური – უშუქობა. ბოლოს ბელასმა ანუ ბრემენის თელასმა „ვერდერის" სტადიონის ფიდერი ჩართო და როცა 90 წუთი მიილია, ტაბლოზე 1:0 იყო. არადა, აილტონს ჯობიაშვილისთვის ბურთი რომ მიეცა, „შალკე" ბრემენიდან ქულას წაიღებდა.

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

თბილისელმა დავით ოდიკაძემ ზურაბ ქვაჩახიას გოლი ანახა

კოლხეთს თბილისისგან არ ეწყინა

თბილისი. 6 აგვისტო. 19 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

თბილისი 3:0 კოლხეთი

1:0 ოდიკაძე (25), 2:0, 3:0 ფიფია (82, 90)

თბილისი	კოლხეთი
დევაძე, ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ელიავა (გეწაძე 32), დ. ოდიკაძე, გოგუა, ი. სამხარაძე, გ. ნუგ. ჭელიძე (გ. მიქაძე 63), ხოჯავა (ფიფია 77), აფციაური, მიკუჩაძე	ქვაჩახია, ქუტიძე, გ. კლასონია (დ. ნარსია 46), აკობია, გოროზია, თაყაძე (ე. მარგალიტაძე 57), ჯ. შალამბერიძე, ჭითანავა, გ. თოდუა, ძოძუაშვილი, ზ. ქუთათელაძე (გ. ტყებუჩავა 77)
სათადარიგონი: ბ. შეყრილაძე; მესხი, ლოლაძე, შ. ჯიქია	სათადარიგონი: ჩემია; მ. გოგოლაძე, ვართაგავა
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი	მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილებები: შალამბერიძე (47), მიქაძე (66), ქუტიძე (72), ქემოკლიძე (75)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

კობა ინასარიძე

„ლეგიასთან“ მატჩამდე „თბილისისთვის“, ვფიქრობ, ხელი არ შეგვიშლია, კარგი თამაში იყო და თბილისელებს ალბათ, ღირსეული სპარინგ-პარტნიორობა გავუწიეთ — თქვა ნამატჩევს „კოლხეთის“ მწვრთნელმა დავით მახარაძემ.

ანგარიში მატჩის რეალურ სურათს არ ასახავს, „კოლხეთი“ 0:3 წაგებას არ იმსახურებდა — ეს კი „თბილისის“ თავკაცის გიორგი დევდარიანის სიტყვებია.

ფოთელებს ურიგო გუნდი სულაც არ ჰყოლიათ და გუშინ იღბალიც რომ დაჰყოლოდათ, თბილისიდან იქნებ ქულაც წაეღოთ. თუმც ისიც ვთქვათ, რომ არც „თბილისს“ მოუკლავს თავი და აშკარად იგრძნობოდა, 12 აგვისტოს „ლეგიასთან“ მატჩამდე მასპინძლებმა ძალა რომ დაზოგეს.

პირველ გოლამდე „თბილისმა“ ერთი-ორი მომენტი შექმნა, მაგრამ ქვაჩახია ყოჩაღობდა და მასპინძლებს გატანას არ ანებებდა. დიდად თავი არც კოლხებს გამოუდვიათ, თუმც დევაძეს ერთხელ კი დაემუქრნენ სახიფათოდ.

ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა: ფლანგიდან ბურთიანად სიჩქარეაკრეფილმა ოდიკაძემ საჯარიმოსთან ჭელიძეს კედელი გაუთამაშა, ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩა, ფეხებში ჩავარდნილ მეკარეს ბურთი გადაუგდო და გაიტანა.

შესვენებამდე მეტი აღსანიშნ-დასამახსოვრებელი არაფერი ყოფილა, ბურთი მოედნის ცენტრში დაგორავდა, უფრო პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა, თითქოს მეტოქენი ერთმანეთის შეცდომაზე გამოჭერას ელოდნენ და აკი არც ერთმა გარისკა.

მეორე ტაიმი „კოლხეთში“ შეცვლით, ჯონი შალამბერიძის გაფრთხილებით და სტუმართა შეტევებით დაიწყო. შეტევებითო, კი ვამბობთ, მაგრამ არც მთლად ისე ყოფილა, „კოლხეთი“ „თბილისის“ კარს არ მოშორებულიყოს. ფოთელებს ერთი-ორი კონტრშეტევა გაეპარათ კიდეც და მასპინძლებს ცოტა ზუსტად რომ ეთამაშათ, მეორე გოლსაც უფრო ადრე გამორჩებოდნენ.

„კოლხეთის“ შეტევებზე კი ის ვთქვათ, რომ ქუთათელაძის თავური ძელს გაეხახუნა, გოროზიას საჯარიმოდან დარტყმული დევაძემ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, მერე კი მომხდურებში ჩავარდნილი ბურთს თავადვე დაეუფლა. ჯარამ დაარტყა შალამბერიძემ, მაგრამ კარს ისე ააცილა, მეკარესაც რომ გოლი ეგონა. მანვე საჯარიმოდან მეორედაც დაარტყა, დევაძემ ისევ იყოჩაღა. მოკლედ, 20-25 წუთი „კოლხეთმა“ „თბილისი“ საკმაოდ ანერვიულა. მერე კი გამოუყენებელმა მომენტებმა სტუმრები, ცოტა არ იყოს, მოადუნა, ისინი შეტევას ისე აღარ ეძალებოდნენ, როგორც ტაიმის დასაწყისში, დაცვაც აირია და მთლიანად გუნდიც მოიშალა. „თბილისმა“ კი ისარგებლა მეტოქის უყურადღებობით და მატჩის ბოლოსკენ ფოთში კიდევ ორი გოლი გააყოლა. შეცვლაზე შესულმა ფიფიამ ჯერ გეწაძეს დაუფასა გარჯა და კარის წინ დარჩენილმა გაიტანა, მერე კი მანვე გოგუას პასი შეირგო და ანგარიში გაასამა.

დავით მახარაძე. აშკარად ჩანს, რომ გუნდს შუა ხაზში პრობლემები აქვს. ვინც შეკრებაზე გვყავდა, მათი უმეტესობის განაცხადში შეყვანა დღემდე ვერ მოვახერხეთ. ისე კი, თამაშით კმაყოფილი ვარ. „დინამო“, „თბილისი“ და „ვიტ ჯორჯია“ დღესდღეობით საქართველოში საუკეთესო გუნდები არიან და წაგება არც მიკვირს. დანარჩენი გუნდები კი ერთ დონეზე არიან და მათთან სამი ქულის დაკარგვას წარუმატებლობად ჩავთვლი.

გიორგი დევდარიანი: უკვე მესამე მატჩია, ერთი პრობლემა გვაქვს: მეორე ტაიმს ისე ვერ ვიწყებთ, როგორც საჭიროა და უპირატესობა მეტოქისაა. „ლეგიასთან“ მატჩამდე ჩვენ კიდევ მოვუმატებთ, ამის პოტენცია გუნდს აშკარად აქვს და, დარწმუნებული ვარ, პოლონელებს დიდ ბრძოლას გავუმართავთ. არავის ეწყინოს, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატისა და უეფას თასის მატჩებს სხვადასხვა მოტივაცია აქვს და გუნდის თამაშიც უფრო ეფექტურია ხოლმე. დღეს კი ჩვენ, არანაირი ექსპერიმენტი არ ჩაგვიტარებია.

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

გიორგი მიქაძის მაკრატელა ლამაზი კი იყო, მაგრამ არაზუსტი

ქუთაისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო

ტორპედო — ზესტაფონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ნ. ბუიშვილი (ქიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

თბილისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი) სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბოლნისი. 7 აგვისტო. 17 საათი. თემურ სტეფანია

სიონი — დილა

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: დ. კვინიკაძე

მცხეთა. 8 აგვისტო. 17 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: ა. მუსკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (ტულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური
ვერდერი 1:0 შალკე
ჩოდილუმი — ბერლინელები
II ტური
ფორტუნა 3:1 ბრაუნშვაიგი
ზანკტ პაული 1:1 კილი
უნიონი 4:2 ვუპერტალი

სამხრეთ რეგიონალლიგა
I ტური
შტუტგარტი (მ) 1:0 ზიგენი
მიუნხენ 1860 (მ) 2:0 კიკერსი
მაინცი (მ) 2:1 დარმშტადტი
ოფენბახი 3:1 ფოიხტი

საფრანგეთი

I დივიზიონი. I ტური
ნიცა 0:1 ლიონი

II დივიზიონი. I ტური
ბრესტი 3:2 ნანსი
შატორუ 1:1 ანჟერი
გენიონი 1:1 ამიენი
გრენობლი 4:2 გენგამი
ლავალი 2:1 დიჟონი
ლე მანი 2:2 კლერმონი
რეიმსი 2:1 კრეტეი
სედანი 3:2 ლორიანი

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. IV ტური
გრაცერი 1:0 შტურმი

I დივიზიონი. IV ტური
აუსტრია (ლ) 1:1 კაპფენბერგი
კერნტენი 4:0 ალტახი
ლეობენი 2:0 უნტერზიბენბრუნი
ვიორგლი 2:2 ლინცერი
რიდი 2:0 გრატკორნი

ბელგია

იუპილერლიგა. I ტური
მუსკრონი 2:0 ანდერლეხტი

შვეიცარია

სუპერლიგა. IV ტური
ბაზელი 2:1 ციურიხი

ჩელენჯლიგა. III ტური
ბადენი 2:2 ვილი
მეირინი 1:0 კიასო
ვინტერთური 0:1 ლუგანო
ვოლენი 2:2 ბულე
კრინსი 3:0 ლუცერნი

თურქეთი

სუპერლიგა. I ტური
რიზესფორი 2:2 ფენერბაჰჩე

ირლანდია

პრემიერლიგა. XXIII ტური
უოტერფორდი 0:1 ლონგფორდი
დროჰედა 3:0 შემროკი
სენტ პატრიკსი 0:3 კორკ სიტი
შელბურნი — დუბლინი გადაიდო

პოლონეთი

I ლიგა. II ტური
ამიკა 1:1 ლეგია

სლოვენია

სი მობილ ლიგა. II ტური
პუბლიკუმი 3:0 კოპერი
ოლიმპია — პრიმორიე გადაიდო

აზიის თასი 2004

მატჩი მე-3 ადგილისთვის
ირანი 4:2 ბაჰრეინი

ამხანაგური მატჩები

ჩარლტონი 3:1 კიევი
მალაგა 0:0(პენ.1:4) პარმა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ლევან მელქაძეს თოფი არ შესვრია, ბურთი ისროლა

ახალი სეზონი თბილისის „დინამოსა“ და მის ფორვარდ ლევან მელქაძისთვის იღბლიანად დაიწყო. გუნდმა უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ბარიერი გადალახა და ეროვნულ ჩემპიონატში „სიონთან“ 6:0 გაილაღა. ლევან მელქაძეს ჯი, უფრო და უფრო რომ უშინაურდება დინამოელთა ძირითადს, ბატესთან მატჩისას ვაჟი, ნიკოლოზი შეეძინა და ბოლნისელთა ჯარში ორი გოლიც გაიტანა. ამ ორიდან პირველი „დინამოსთვის“ ეროვნულ ჩემპიონატებში 1300-ე იყო. ლევანი გუშინ რედაქციაში გვესტუმრა...



ის ურჩევნია ლევანსა... მამა-შვილი მელქაძეები

ბიჭის მამას მეტი გოლი მოეთხოვება

— ბავშვობაში სტატისტიკა მაინტერესებდა. ვუკირკიტებდი იმ საფეხბურთო ყოველწლიურებს, ადრე რომ გამოდიოდა და ვინიშნავდი, ვინ იყო საუბილეო გოლის ავტორი და ასე შემდეგ. რამდენჯერ მიფიქრია გულის სიღრმეში, ნეტავ მეც შევიდე კლუბის ისტორიაში-მეთქი. ჰოდა, ახლა თქვენგან გავიგე, „დინამოს“ 1300-ე გოლი რომ გავიტანე.

— „დინამო“ ახლა შეტევაზეა ორიენტირებული, ალბათ გოლებს შენც მოუმატებ...

— იმედი მაქვს. გასული სეზონი აშკარად ჩავაგდე. „დინამოში“ გადმოსვლისას ძალიან ბევრს ვგეგმადი, თან წინა სეზონის ბომბარდირი ვიყავი, მაგრამ... საქმეები არ ამეწყო და უფრო მეტად სათადარიგოებში მიწევდა ყოფნა. ეს ჩემთვის უჩვეულო იყო. ვატყობდი, რომ მოედანზე გასვლისას ძალიან ვნერვიულობდი. ასეა, როცა ფეხბურთელი უნდობლობას გრძნობს, ბოლომდე თავის შესაძლებლობებს ვერ ავლენს.

— ეს ხომ მარტო უნდობლობა არ იყო, მაშინ „დინამოს“ რატი ალექსიძეც ჰყავდა...

— რა თქმა უნდა, კონკურენცია ბევრს ნიშნავს და ძალიან საჭიროა, მაგრამ ამის არასოდეს მშინებია. მე თუ მკითხავთ, თავდასხმაში დღეს უფრო დიდი კონკურენციაა.

— ბორის გონჩაროვი შენი ყაიდის ფორვარდია და არ გრძნობ საფრთხეს, რომ ძირითადში ვერც ამ სეზონში დაიმკვიდრებ ადგილს?

— შენსას თუ არ ეცადე, საერთოდ რა აზრი აქვს ფეხბურთის თამაშს?! მთავარია, იგრძნო, რომ თამაშის ისეთივე შანსი გაქვს, როგორიც დანარჩენებს. ახლა უფრო მეტს ვთამაშობ და ვფიქრობ, შესაძლებლობების დამტკიცების გაცილებით მეტი შანსი მაქვს. გონჩაროვს დააყენებს თუ მელქაძეს, ეს კი უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია.

— ახალმა მწვრთნელმა შემტევი ტაქტიკა ირჩია. კიდევ რა შეიცვალა „დინამოში“?

— ფაქტობრივად, ყველაფერი. გია გეგუჩაძემ ტაქტიკასთან ერთად ვარჯიშებიც შეცვალა.

— ადრე „დინამო“ ფიზიკური მომზადებით მეტოქეებს ერთი თავით სჯობდა...

— ვფიქრობ, ფიზიკურად ახლაც კარგად ვართ, ეს ბატესთანაც გამოჩნდა. ბელარუსული კლუბი ხელწამოსაკრავი მეტოქე ნაღდად არ იყო. პირიქით, პირველ ეტაპზე ყველაზე არასასურველი გუნდიც კი იყო. ჩვენმა მონდომებამ მათი ყველა კოზირი გაჭრა და ისე გამოჩნდა, თითქოს ბატე იოლად დავამარცხეთ.

— ახლა კი გაცილებით სერიოზული მეტოქე გელით, „სლავიასთან“ რა შანსები გაქვთ?

— „სლავიამდე“, 8 აგვისტოს, „ვიტ ჯორჯიასთან“ პრინციპული მატჩი გვაქვს და ვალდებულები ვართ, წინა ჩემპიონატში მარცხისთვის რევანში ავიღოთ. ამის შემდეგ მთლიანად „სლავიაზე“ გადავერთვებით. „დინამო“ ჩეხებთან უშანსოდ სულაც არაა.

— როგორ წარმოგიდგენია „სლავია“ და მისი თამაშის სტილი?

— ალბათ „ლიბერეცის“ მსგავს ფეხბურთს ითამაშებს. მებრძოლი და ათლეტური გუნდი იქნება. მართალია, ბოლო ხანს ამ კლუბის ფინანსურ გაჭირვებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ ამით თავს არ ვიმშვიდებთ. გაჭირვება ერთია და კლასი მეორე, ჩეხებს კი კლასი არასოდეს აკლდათ. მარტო ის რად ღირს, ევრო 96-ის ვერცხლის პრიზიორები პაველ კუკა და რადეკ ბეიბლი რომ ჰყავთ. მონდომებით მათი ძლევაც შეიძლება, ოღონდ ცოტა იღბალიც ჩვენსკენ უნდა იყოს.

— „დინამო“ ზამთარში, კვიპროსული შეკრებისას პოლონურ „ლეგიას“ 1:1 ეთამაშა. „ლეგია“ ახლა „თბილისის“ მეტოქეა...

— მთავარია ფიზიკურად გაუძლონ. ძლიერი მეტოქეა, მაგრამ არა დაუმარცხებელი. კვიპროსზე ჩვენ დიდი უპირატესობაც გვქონდა. თუ შეთანხმებულად ითამაშებენ, თბილისელებმა მეტოქე ტექნიკით უნდა დაჯაბნონ.

— ზაფხულის შესვენებისას ყველაზე მეტად რის გაუმჯობესებაზე მუშაობდი?

— კარში დარტყმის სიზუსტეზე, ასე ვთქვათ, სამიზნის გასწორებაზე. გოლის ალღო ნაღდად არ დამიკარგავს, ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან ბავშვობიდან მოდის და სისხლშია. გარდა ამისა, „დინამოს“ ახალი სათამაშო სტილიდან გამომდინარე, უკან ჩასვლაც ხშირად მიწევს და წინ აგრესიული მოქმედებაც. მეტოქეს მისსავე ნახევარზე ვაწუხებ, ამისთვის კი კარგი ფიზიკური მომზადება და გამძლეობაა საჭირო.

— „დინამოში“ ბომბარდირი მოვედიო, თქვი და, არ ფიქრობ, „დინამოსთან“ ერთადაც გახდე ჩემპიონატის მთავარმეგოლე?

— რა თქმა უნდა, ბომბარდირობა ძალიან მინდა, ბოლოს და ბოლოს, ფორვარდი ვარ და ამაზე უკეთესი თავდამსხმელისთის არაფერია. მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში გუნდური ინტერესების გათვალისწინებით უნდა იმოქმედო და ჩემთვისაც მთავარი ესაა.

— „დინამოს“ გამოკვეთილი პლეიმეიკერი არ ჰყავს, არ გაგიჭირდება?

— პლეიმეიკერი ჯერ მართლაც არ გვყავს და ამიტომ სხვა ტაქტიკით ვთამაშობთ. თუმცა პასის მიმცემი ამ „დინამოშიც“ მოიძებნება, მაგალითად, ლადო ბურდული. ახალ თაობაშიც არიან ისეთები, ვინც იცის ზუსტი პასი.

— წლეულს პირველ დიდ წარმატებას უკვე მიაღწიე და მას ნიკოლოზი ჰქვია...

— შვილი მართლაც ყველაზე დიდი ბედნიერებაა. აღმა-დაღმა სიარულის მოყვარული არც ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ერთი სული მაქვს, როგორც კი ვარჯიში დამთავრდება, სახლში შვილთან გავიქცე. ბატესთან კვირკველიამ გოლი რომ გაიტანა, ისე ლამაზად მომილოცა, მეგონა, გოლი მე გავიტანე. დიდი მადლობა დათოს.

— როგორ გგონია, ჩემპიონობაში ვინ შეგეცილებათ?

— პირველ რიგში „თბილისი“, რომელმაც ძალიან კარგი შევსებაც მიიღო. ალბათ „ვიტ ჯორჯიაც“ იბრძოლებს, დანარჩენები ვნახოთ...

დავით ერაძე

ბატესთან მატჩისას დავით კვირკველიამ (№16) ლევან მელქაძეს (№18) ვაჟიანობა გოლით მიულოცა

გურამ დოლიძეს-ბელის ფოტო

ამერმა ლიბერეცი შეცვალა

„ამერმა“ ჩეხეთში სეზონისწინა შეკრება დაასრულა და დღეს საღამოს თბილისში ბრუნდება, გუშინ კი ბოლო ამხანაგური მატჩი ითამაშა. „ამერის“ მეტოქე გამბრინუსლიგის „ბლშანი“ იყო. მატჩი ჩეხებმა 1:0 მოიგეს ბოლო წუთზე კუთხურის გათამაშებით გატანილი გოლით. აქვე დავაზუსტოთ, რომ ეს გოლი სინამდვილეში 86-ე წუთზე გავიდა, მაგრამ მსაჯმა, ისე, რომ თამაში არც განახლებულა, საფინალოდ ჩასტვინა. ამასთანავე, კუთხურის ჩაწოდებისას ბლშანელმა თავდამსხმელმა მეკარე რეზო ნაჭყეპიას სახეში იდაყვი ჩასცხო, რაც მსაჯს გამოეპარა, სამაგიეროდ, ნაჭყეპიამ დამრტყმელს ბურთი რომ ესროლა, შენიშნა და წითელი ბარათი ამოუღო. მოკლედ, გოლი, გაძევება და თამაშის დამთავრება ერთდროულად მოხდა.

ეს დასანანი მარცხი იყო. ერთი კვირის წინანდელ „ტეპლიცესთან“ შეხვედრისგან განსხვავებით, რომელშიც „ამერს“ გოლის გატანის შანსი ფაქტობრივად არც ჰქონია, „ბლშანთან“ ძალიან ახლოს იყო მოგებასთან. მარტო რატი წინამძღვრიშვილი სამჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ერთიც ვერ გაიტანა. მასპინძლებს კი ნაღდი საგოლე მომენტი არც ჰქონიათ, თუმცა ბურთს „ამერზე“ მეტხანს აკონტროლებდნენ.

გიორგი ჩიხრაძე, „ამერის“ მთავარი მწვრთნელი: „გულდასაწყვეტი წაგების მიუხედავად, კმაყოფილი ვარ. წინა მატჩებთან შედარებით, დღეს წუნი ნაკლები გვქონდა. ფეხბურთელები გაცილებით უკეთესად უგებენ ერთმანეთს, საგოლე მომენტებიც შევქმენით. რაც მთავარია, ეს ჩეხეთის უმაღლესი ლიგის გუნდთან გავაკეთეთ, თან საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე 9 დღით ადრე, ანუ ვფიქრობ, რომ სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ“.

ბოლოს დავძინოთ, რომ გუშინ „ბლშანს“ ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ლიბერეცთან“ უნდა ეთამაშა, მაგრამ რაკი „ლიბერეცი“ ინტერტოტოს ფინალისთვის ემზადება, შეხვედრა გადაიდო და „ბლშანმა“ თავად გამოთქვა გამოთავისუფლებულ დღეს „ამერთან“ გაჯიბრების სურვილი.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, სილაგავა, კაიდარაშვილი (ბჟალავა 78), დეკანოსიძე, მჭედლიშვილი, სევასტოპულო, წინამძღვრიშვილი.

გიორგი დარჯანია

„ამერის“ პრესსამსახურის უფროსი

თბილისის „ლოკომოტივმა“ მე-16 ეროვნული ჩემპიონატი ქუთაისური 0:2 მარცხით დაიწყო. ამ შეხვედრაში თბილისელებს საგოლე მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ბოლო დარტყმისას სცოდავდნენ. გამტანი ფორვარდის საკითხი „ლოკომოტივმა“ სანახევროდ უკვე გადაწყვიტა. ამიერიდან კლუბის წითელი მაისურით მიხეილ ბობოხიძე შეუტევს. ეს ნიჭიერი თავდამსხმელი უდავოდ შემატებს სიმწვავეს „ლოკომოტივის“ იერიშებს, თუმც, როგორც ჩანს, ეს არ იქნება რკინიგზელთა ბოლო შენაძენი, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს გუნდის მმართველი დირექტორი ლევან ყიფიანი...

ლოკომოტივს თვალები უნვრიალდება

— ბობოხიძის საკითხი გადაწყვეტილია, მასთან კონტრაქტი ერთწლიანია. სამწუხაროა, რომ მიშა ბათუმელებთან მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მიკროტრავმა აქვს.

— კიდევ ხომ არ აპირებთ გაძლიერებას?

— შეიძლება, რამდენიმე უზბეკი ფეხბურთელი დავიმატოთ, ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მალე ყველაფერი გაირკვევა.

— რა აპირებენ ფეხბურთელები არიან უზბეკები?

— ისინიც თავდამსხმელები არიან. ვფიქრობ, „ლოკომოტივს“ ახლა ყველაზე მეტად სწორედ შეტევაში უჭირს.

— ჩანს, ფინანსური მდგომარეობაც გამოგისწორდათ.

— ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია.

დავით ერაძე

მსოფლიო ფეხბურთში საქართველო ჩაშვებულებაშია

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

ყოველთვიური რეიტინგის გამოქვეყნებით ფიფა მსოფლიო ფეხბურთში ჩვენს ადგილს გვახსენებს. ადგილის გარდა ეს რეიტინგი იმასაც გვახსენებს, რომ საქართველოში არის ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც პატრონობს ნაკრებს, მაგრამ ეს ნაკრები სამი თვეა, არავის უნახავს.

დალოცვილი რამეა რეიტინგი. ადრე ამ ცხრილს შემოკლებით გთავაზობდით: მხოლოდ პირველ ოცეულს, საქართველოს და ამა თუ იმ ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს. ამჯერად კი 205-ქვეყნიან სიას წარმოგიდგენთ ბრაზილიიდან მონსერატამდე. ამ ცხრილის დაახლოებით შუაში გაიჩხირა საქართველო, რომელიც გასულ თვესთან შედარებით კიდევ ოთხი ადგილით ჩასრიალებულა.

ფიფაზე უეფა, უეფაზე კი ევროპის ჩემპიონატი გამახსენდა. ევრო 2004-ის დაწყებამდე გუნდებმა ბლომად ამხანაგური მატჩები ითამაშეს. თითქმის მთელი მსოფლიო ბურთს აგორებდა — პორტუგალიაში წამსვლელნიც და დანარჩენებიც, მაგრამ საქართველო არსად იყო.

მაინცდამაინც ჩვენ ვერ ვიპოვეთ მეტოქე, არადა, ისევ და ისევ ამ დალოცვილ ნუსხაში 205 ქვეყანაა. ფრანგებს და პორტუგალიელებს საქართველოსთვის რომ არ ეცალათ, გასაგებია, მაგრამ მალტა, კვიპროსი, ფარერები, ლიხტენშტაინი, სან მარინო, ლუქსემბურგი ხომ არსებობს? ერთი-ორი ქულა რომ აგვეღო, რეიტინგში ბოტსვანას მაინც გადავასწრებდით და, ხო-ხო-ხო, რა შეღავათი იქნებოდა!

რატომ ვერ გავჩარხეთ ამხანაგური მატჩები? ეს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის კი არა, ევროპელთა ბრალია, რომლებსაც ამხანაგური მატჩების კალენდარი წინასწარ შეუდგენიათ. მათ შორის იმ ფარერელ მეცხვარე-მეთევზეებსაც, აგერ, სტადიონზე რომ მოგვიფსეს.

ისე კი, ეს რეიტინგი გუნდების ძალას რეალურად ვერ ასახავს. საქართველოს ნაკრები ნუსხაში მასზე მაღლა მყოფ უგანდას ან რუანდას რომ შეხვდეს, უეჭველად მოუგებს. მაგრამ უგანდას და რუანდას ვერ შევხვდებით. მათ უკვე არუბასთან და მაკაოსთან ამხანაგური მატჩები ექნებათ დაჯავშნული და საჩვენოდ არ ეცლებათ.

ვაჟა ხუციშვილი

1	1	ბრაზილია	849
2	2	საფრანგეთი	809
3	3	ესპანეთი	790
4	11	არგენტინა	774
5	4	ჩეხეთი	762
6	5	ჰოლანდია	747
7	8	ინგლისი	732
8	6	მექსიკა	731
9	9	იტალია	728
10	10	თურქეთი	719
10	7	აშშ	719
12	12	პორტუგალია	714
13	12	გერმანია	712
14	14	საბერძნეთი	710
15	15	დანია	703
16	16	კამერუნი	700
16	16	ირლანდია	700
18	18	ნიგერია	696
19	32	ურუგვაი	691
20	24	იაპონია	685
20	19	შვედეთი	685
22	20	კორეა	684
22	29	პარაგვაი	684
24	21	ირანი	680
25	23	ხორვატია	659
26	21	საუდის არაბეთი	656
27	26	რუსეთი	653
28	36	კოლუმბია	652
28	29	კოსტა რიკა	652
28	27	პოლონეთი	652
31	24	ბელგია	650
31	28	სენეგალი	650
33	31	მაროკო	644
34	34	ეგვიპტე	637
35	32	რუმინეთი	636
36	35	ტუნისი	633
37	40	იორდანია	616
38	38	ნორვეგია	612
39	37	ეკვადორი	604
40	43	ერაყი	601
41	39	სამხრეთ აფრიკა	599
42	41	ბულგარეთი	596
43	42	სლოვენია	586
44	48	სერბეთი	583
45	51	ბაჰრეინი	582
46	46	მალი	577
47	45	შვეიცარია	573
47	46	ზიმბაბვე	573
49	44	ფინეთი	570
50	58	ომანი	569
51	64	ჩინეთი	566
51	80	უზბეკეთი	566
53	50	ვენესუელა	562
54	49	იამაიკა	559
54	56	ქუვეითი	559
56	53	ლატვია	554
57	52	ავსტრალია	553
58	57	ალჟირი	551
59	54	ჰონდურასი	550
59	54	ყატარი	550
61	75	პერუ	547
62	60	ისრაელი	542
62	59	შოტლანდია	542
64	62	კოტ დივუარი	539
64	64	ტაილანდი	539
64	61	უელსი	539
67	66	ჩილე	537
67	63	ტრინიდადი	535
69	74	ზამბია	528
70	71	განა	527
71	69	კონგოს დ.რ.	526
71	70	ლიბია	526
71	66	სლოვაკეთი	526
74	66	კუბა	525
75	71	საამიროები	521
76	73	ბოსნია	519
77	78	უნგრეთი	534
78	78	ანგოლა	511
79	80	ბურკინა ფასო	509
79	88	გვატემალა	509
79	75	ისლანდია	509
82	84	სირია	508
83	85	ბელარუსი	507
83	82	ესტონეთი	507
85	77	უკრაინა	506
86	83	ახალი ზელანდია	505
87	88	გვინეა	500
87	86	კენია	500
89	86	ავსტრია	495
90	98	თურქმენეთი	486
91	96	ინდონეზია	485
92	92	მაკედონია	483
93	99	ბოლივია	480
94	94	ალბანეთი	479
95	91	ჰაიტი	478
96	90	კანადა	473
96	95	ტოგო	473
98	97	კონგო	470
99	98	რუანდა	461
100	100	უგანდა	460
101	100	ვიეტნამი	459
102	103	მალავი	447
103	102	სალვადორი	443
104	104	კვიპროსი	440
105	109	ბოტსვანა	435
106	106	პანამა	432
106	107	სუდანი	432
108	109	ლიბანი	429
109	105	საქართველო	428
110	111	მოლდოვა	424
110	112	ჩრ. ირლანდია	424
112	108	სენტ კიტსი	422
113	114	ჩრ. კორეა	418
114	113	ლიბერია	417
115	116	ბარბადოსი	409
116	118	სომხეთი	406
116	115	ლიტვა	406
118	119	აზერბაიჯანი	400
118	122	მალაიზია	400
118	117	სინგაპური	400
121	120	ბენინი	394
121	125	სვაზილენდი	394
123	121	გაბონი	386
123	122	ტაიტი	386
125	126	მოზამბიკი	380
126	128	სოლომონის კ-ები	374
127	122	მავრიკეთი	373
128	127	სენტ ლუსია	367
129	130	ლესოტო	361
129	132	პალესტინა	361
131	128	მადაგასკარი	360
131	132	მალტა	360
133	134	კაბო ვერდე	348
134	131	ფიჯი	346
135	134	იემენი	345
136	136	ტაჯიკეთი	343
137	136	ფარერები	337
138	138	გრენადა	329
139	139	ეთიოპია	324
139	142	ვანუატუ	324
141	140	მალდივი	315
142	143	ინდოეთი	313
143	140	შრი ლანკა	312
144	144	ყაზახეთი	309
145	145	ჰონკონგი	306
146	146	გამბია	297
147	147	სურინამი	292
148	147	მიანმარი	288
149	149	ანდორა	285
150	149	ნამიბია	281
151	153	სენტ ვისენტი	272
152	151	ბურუნდი	271
153	152	სიერა ლეონე	270
154	153	ლიხტენშტაინი	268
155	155	ტაივანი	266
156	156	ყირგიზეთი	263
157	157	ლუქსემბურგი	251
158	157	ბანგლადეში	248
159	159	ჩადი	240
160	160	ნიკარაგუა	238
161	162	ბერმუდა	234
162	233	ერიტრეა	233
163	163	ანტიგუა	230
164	164	პაპუა ახ. გვინეა	228
165	167	დომინიკა	215
166	165	ეკვატ. გვინეა	215
167	168	სან მარინო	213
168	169	ჰოლანდიის ანტილები	212
168	165	ტანზანია	212
170	169	დომინიკის რესპ.	208
171	171	სეიშელი	199
172	172	ნიგერი	198
173	173	ლაოსი	196
174	173	მავრიტანია	194
175	175	ნეპალი	193
176	176	პაკისტანი	189
177	177	სამოა	177
178	178	ცენტ. აფრიკა	170
179	179	ბრიტ.ვირჯინიის კ-ები	167
180	180	ბელიზი	159
181	181	გაიანა	152
182	182	ტონგა	143
183	183	კაიმანის კ-ები	139
184	184	კამბოჯა	134
185	185	მონღოლეთი	133
186	186	ახ. კალედონია	119
187	187	გვინეა-ბისაუ	112
188	187	მაკაო	111
189	189	ბჰუტანი	106
190	190	კუკის კ-ები	100
191	192	ბაჰამები	97
191	191	ფილიპინები	97
193	193	სომალი	94
194	194	სან ტომე და პრინსიპი	90
195	195	ბრუნეი	73
196	196	არუბა	70
197	197	ანგუილა	66
198	198	ავღანეთი	62
199	199	ჯიბუტი	49
200	200	ამერ. ვირჯინიის კ-ები	46
201	201	პუერტო რიკო	35
202	202	ტურკსი და კაიკოსი კნ.	26
203	203	ამერიკის სამოა	19
204	204	გუამი	17
205	205	მონსერატი	6

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა



სვენი გადარჩა

ერიქსონი ნაპრებს გაწვრთნის, პალიოსი ფერიას

სვენ გორან ერიქსონი დარჩა ინგლისის ნაკრების მწვრთნელად. ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ შვედს არაფერი აქვს საპასუხო და თავის გასამართლებელი მდივან ფერია ელამის საყვარლობასთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, ასოციაცია დაეთანხმა კომუნიკაციების დირექტორის, ჯოლინ გიბსონის გადადგომას და სამსახური დატოვა პირმშვენიერმა ფერიამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი თქმულა დარტყმის ქვეშ მყოფი ასოციაციის თავმჯდომარის, ჯეფ ტომპსონისა და დროებითი პასუხისმგებელი შეფის, დევიდ დევისის შესახებ.

ერიკსონი ყოველთვის უარყოფდა ფერია ელამის საყვარლობას. ის არც ასოციაციის საბჭოს ბოლო სხდომას დასწრებია, რომელიც ლონდონის „ლეონარდ ჰოტელში" გაიმართა.

სხდომის შემდეგ ასოციაციამ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც სვენი უდანაშაულოდ ცნო, ფერია ელამს კი „დაქირავებული მუშაკი" უწოდა, რომელსაც ასოციაციაში საპასუხისმგებლო თანამდებობა არ ეკავა.

ერიკსონის აგენტმა, ათოლ სტილმა განაცხადა, რომ მენეჯერი კმაყოფილია განხილვის შედეგით და სანაკრებო სამუშაოს განაახლებს.

პიარის დიდოსტატმა, მაქს კლიფორდმა კი, რომელიც ქალბატონ ელამს ეხმარება, თქვა, რომ ამგვარ ვითარებაში ის სამსახურში ვერ გაჩერდება. ასოციაციამ ხომ განაცხადა, მის ჩინოსანთა სასიყვარულო თავგადასავლები ჩირქს სცხებს ფეხბურთსო.

ფერია ელამთან კოტრიალს უკვე შეეწირა ასოციაციის ენერგიული შეფი მარკ პალიოსი.

ასოციაციას აღარაფერი ჰქონდა განსახილველი მის გამო, რადგან პალიოსი ადრევე გადადგა. თორმეტკაციანმა საბჭომ ყურადღებით უსმინა ვექილ პიტერ ნორბერს, ვინც მანამდე ერიკსონსაც ელაპარაკა და ელამსაც. ამ მოსმენის შემდეგ, ყველასთვის გასაკვირად, შვედი გამართლდა. თავი დაიძვრინა დევისმაც, რომელმაც დროებით დაიკავა ორშაბათს გადამდგარი პალიოსის სავარძელი. პალიოსის წასვლა კი იმას მოჰყვა, რომ ასოციაცია მისი და ელამის რომანის მიჩუმათებას ცდილობდა, ამასობაში კი ელამთან სიყვარულობაში ერიკსონიც გამოაჭენეს.

ხოლო გიბსონი იმას შეეწირა, რომ გაზეთ „ნიუს ოვ ზე ვორლდს" უღირსი მოლაპარაკება გაუბა, რათა სკანდალი ჩაეხშო.



ფერია ელამმა, მარკ პალიოსმა და ჯოლინ გიბსონმა სამსახური დაკარგეს





ჯერ ჯინდა ეტოო!

ირურეტამ აუხდენელი ინატრა

სამუელ ეტოოს სატრანსფერო ორომტრიალი დღითი დღე საინტერესო ხდება. აქამდე „აფრიკელის საქმეში" მხოლოდ 4 მოქმედი პირი ვიცოდით — თავად ეტოო, მისი ამჟამინდელი კლუბი „მალიორკა", მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა". გუშინ კი გალისიური „დეპორტივოს" მწვრთნელმა, ხავიერ ირურეტამ იქაურ „ელ მუნდოს" ეტოოს „რიასორზე" გადაყვანის სურვილი გაუმხილა. „ჩვენი მეტოქეები — „ვალენსია", „ბარსელონა" და „რეალი" — ახალი მოთამაშეებით გაძლიერდნენ. „დეპორი" მათთან შედარებით სატრანსფერო გარიგებებში ვერ აქტიურობს, ეს კი მომავალ პრიმერაში კარგს არაფერს მოგვიტანს. ჩემი აზრით, ორი გამოცდილი ფეხბურთელის შემატება გვჭირდება და ძალიან გამიხარდება, ამ ორიდან ერთი სამუელ ეტოო თუ იქნება. პრეზიდენტ ლენდოიროს ვთხოვ, აფრიკელს ყურადღება მიაქციოს" — განაცხადა ირურეტამ.

„დეპორტივო" ეტოოთი შარშანდელი სეზონის მიწურულსაც იყო დაინტერესებული. კამერუნელი თავდამსხმელის ლა კორუნიაში გადაბარგება კი რამდენიმე გარემოებაზეა დამოკიდებული — ფლორენტინო პერესის „რეალმა" „ბარსას" სატრანსფერო შეთავაზებაზე უარი უნდა თქვას, მერე კასტალიელებმა ეტოოს იჯარით გამწესება სწორედ „დეპორტივოში" უნდა ინებოს და, რაც მთავარია, თავად ფეხბურთელის დასტური.

ლადო ხომერიკი

გარეთ მასკერონი, შინ კარიკი

ვენგერი ჯერარწასულის შემცვლელს ეძებს

ლონდონის „არსენალი" სამხრეთამერიკულ საფეხბურთო ბაზარზე ფეხბურთელებს არჩევს. მართალია, „მეთოფეთა" თავკაცებს თუ ვენდობით, კაპიტანი პატრიკ ვიეირა 2004-05-ის სეზონშიც „არსენალში" დარჩება, მაგრამ ლონდონში ფრანგის „რეალისკენ" ლტოლვის ამბავიც კარგად იციან და უკვე მის სავარაუდო შემცვლელს ეძებენ.

არგენტინული პრესის ცნობით, გუშინ „არსენალმა" „რივერ პლეიტს" ნახევარმცველ ხავიერ მასკერანოში 10 მილიონი ევრო შესთავაზა. მასკერანო განვლილ „კოპა ამერიკაზე" არგენტინელთაგან ერთერთი საუკეთესო იყო, ამჟამად კი ოლიმპიურ გუნდთან ერთად საათენოდ ემზადება. არსენ ვენგერი მასკერანოთი ამსტერდამის ტურნირის დროს დაინტერესდა, სადაც „არსენალის" გარდა „რივერ პლეიტი", „აიაქსი" და ბერძნული „პანათინაიკოსი" თამაშობდნენ.

„მეთოფეები" ვიეირას შემცვლელს თურმე პრემიერლიგაშიც ეძებენ და თვალი „ვესტ ჰემის" 23 წლის ნახევარმცველისთვის, მაიკლ კარიკისთვის დაუდგამთ თვალი. „სანის" მტკიცებით, კარიკი „არსენალს" მასკერანოზე იაფიც დაუჯდება — ოდენ სამი მილიონი გირვანქაო.

ლადო ხომერიკი



ხავიერ მასკერანო



მაიკლ კარიკი

ახალგაზრდა ბებერი

პოლ სქოულზი მოწაფე იყო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ბრაიან კიდმა კლუბის საფეხბურთო სკოლაში რომ მიიწვია. კიდმა ბიჭი რეგიონალური ტურნირის ფინალურ მატჩში ნახა და მოეწონა. იმ შეხვედრაში „ულალმა“ ჰეთ თრიქი შეასრულა, მაგრამ სკოლაში მას ამაოდ ელოდნენ — არ მივიდა, დედამასთან ერთად არდადეგებზე წასვლა მირჩევნიაო. კიდევ კარგი, ბრაიან კიდი ჟინიანი კაცი გამოდგა და ბიჭი მაინც მიიყვანა „მანჩესტერის“ უმცროსთა გუნდში. გასულ ორშაბათს კი 29 წლის პოლ სქოულზმა სანაკრებო კარიერა დაასრულა — ჩემი ოჯახისა და „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ასე აჯობებსო.

პოლ სქოულზი 1974 წლის 16 ნოემბერს სელფორდში დაიბადა. 16 წლის იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორმა პირველად რომ მოირგო. არადა, ბალღობიდან „ოლდემს“ გულშემატკივრობდა და ამ კლუბში თამაშზე ოცნებობდა.

მოსწავლეობისას ბურთს სკოლის გუნდში დააგორებდა. ერთ სეზონში 70 გოლიც კი გაუტანია. „ოლდემის“ ფორვარდი ენდი რიჩი მისი კერპი გახლდათ და სწორედ ამიტომ მივიდა ოლდემელებთან, თქვენთან მათამაშეთო, მაგრამ ისე დაიწუნეს, რომ მისთვის ბურთიც არ მიუგორებიათ.

დაღონებული სქოულზი სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა დაამშვიდა, რომელიც „მანჩესტერის“ მწვრთნელ ბრაიან კიდთან მეგობრობდა. მასწავლებელმა მწვრთნელი რეგიონალური ტურნირის ფინალისა და პატარა „ულალის“ სანახავად დაპატიჟა. სქოულზმა ჰეთ თრიქი მითვალა, მისმა გუნდმა კი 5:1 მოიგო. კიდმა ბიჭი „მანჩესტერის“ უმცროსთა სკოლაში დაიბარა, მაგრამ „ოლდემზე“ შეყვარებულმა, ზემოთაც ვთქვით, „მანჩესტერში“ გასინჯვას მშობლებთან ერთად დასასვენებლად წასვლა არჩია. კიდი „ულალს“ არ მოეშვა და არც შემცდარა. 1991 წლის 8 ივლისს პოლ სქოულზი „წითელი“ მისურით შემოსეს. 1993-ში „მანჩესტერის“ საუკეთესო ახალგაზრდად აღიარეს, ინგლისის 18-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა და იმავე ზაფხულს კლუბთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა.

1994 წლის 21 სექტემბერს ლიგის თასზე „პორტ ვეილთან“ მისი დებიუტი შედგა. „ჩემი პირველი გოლი, რა თქმა უნდა, მახსოვს — ამბობს სქოულზი — მეტოქის პასი ჩავჭერი, შემდეგ მეურვეს ბურთი ფეხებშუა გავუძვრინე, მეკარეც ვერ მისწვდა, ძელს მოხვდა და კარში შეგორდა. მეორე? ჰო, „პორტ ვეილთან“ დუბლი გავაბერხე. საიმონ დევისის ჩაწოდებულ ბურთს თავი დავუხვედრე. ვიღაც ხელს მიშლიდა, მაგრამ მაინც ცხრიანში ჩავსვი. მეორე დილას გაზეთების პირველ გვერდებზე ეწერა, „ვმირი სქოულზი“. ამან კინაღამ გადამრია. „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში კი მინდოდა, მაგრამ არც მიფიქრია, რომ მსგავსი რამ მოხდებოდა“.

ლიგის თასის მატჩიდან სამ დღეში „მანჩესტერმა“ პრემიერლიგაში „იფსვიჩთან“ 2:3 წააგო, მაგრამ მარცხი ვის ახსოვდა, მეორე გოლი ხომ შეცვლაზე შესულმა სქოულზმა შეაგდო და კვლავ აალაპარაკა ინგლისი.

1994-95 წლებში „მანჩესტერ იუნაიტედში“ თაობა იცვლება. პოლ პარკერის ადგილს გარი ნევილი, პოლ ინსისას კი ნიკი ბათი იკავებს. ამავე სეზონში გამოჩნდა დევიდ ბექემი, მაგრამ „ულალი“ მაინც თადარიგში დარჩა, რადგან ერიკ კანტონა ბრწყინავდა. 1997-ში ფრანგმა უეცრად კარიერის დასრულება გადაწყვიტა და პოლ სქოულზს გზა გაეხსნა. ახალბედამ ფრანგის წასვლაზე მოკრძალებულად თქვა: „მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ ერიკი მუდმივად ვერ ითამაშებს და ოდესღაც შენი დროც დადგებაო, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე მალე მოხდებოდა. კანტონას თამაში ერთიორი წელი კიდევ შეეძლო“.

ფრანგის ნაცვლად „მანჩესტერმა“ ტედი შერინგემი იყიდა და აქა-იქ უკვე ამბობდნენ, რომ სქოულზი აღარ გვჭირდებაო. მაგრამ თვითონ სხვაგვარად ფიქრობდა: „პრობლემას ვერ ვხედავ. ახლა გაცილებით ხშირად ვთამაშობ, ვიდრე გასულ წლებში. ტედი ცოტა წაგავს კიდეც კანტონას. ჰაერშიც ძლიერია, ადგილის შერჩევაც ეხერხება და გატანაც არ ეშლება“.

იგივე შეეძლო ეთქვა საკუთარ თავზე. სისწრაფით ბექემს არ ჩამოუვარდებოდა, მაღალ მცველებს ხშირად სჯობნიდა და თავით გოლები გაჰქონდა. ბურთის ართმევაშიც გამორჩეული იყო. გარი ნევილის აზრით: „ამ მხრივ პოლს მხოლოდ როი კინი და ნიკი ბათი თუ შეედრებიან“, მაგრამ „ულალი“ თავმდაბლობს: „არც ისეთი ძლიერი ვარ, როგორც მაქებენ. ბურთის ართმევასაც ისევე ვცდილობ, როგორც გოლის გატანას ან სწორი პასის გაკეთებას“.

პოლ სქოულზს ფორვარდობას „აბრალებდნენ“, მაგრამ მას სიღრმიდან შეტევა უფრო ხიბლავს: „თავდამსხმელების უკან, ერთ ნაბიჯში, ჩემთვის ზედგამოჭრილი ადგილია. შეტევის დაწყებაც მიყვარს და დასრულებაც“.

საგოლე მომენტებს ხშირად ჰქმნის და გოლებიც იშვიათი სილამაზისა გამოსდის — შორიდან, ძლიერი დარტყმით. გარდა ამისა, როცა ფორვარდებს ფეხები უჩლუნგდებათ, „ულალი“ ლიდერობას კისრულობს. ასე იყო ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის მეოთხედფინალში, როცა სქოულზმა „სან სიროზე“ მილანის „ინტერს“ გაუტანა. ასე იყო ინგლისის თასის ფინალში, როცა „ულალის“ გოლმა „ნიუკასლი“ წელში გაწყვიტა. და მთავარი — ინგლისის ნაკრები ევრო 2000-ზე სქოულზმა გაიყვანა. როგორ ახერხებს სწორედ მაშინ გატანას, როცა გარშემო სხვა თანაგუნდელებს არაფერი გამოსდით? „ეს ჩვეულებრივი ინსტინქტია, თავისთავად მოდის — განმარტა ფეხბურთელმა — ყველაზე ლამაზი რომელი იყო? რა ვიცი, ნებისმიერი ჩემი გოლი მომწონს, ისე კი, ყველა ბურთი კარგია ბადეში თუ აფართხალდება, მაგრამ მთავარი მაინც გულშემატკივრების სიხარულია“.

ინგლისის ნაკრებიდან პოლ გესქოინის წასვლამ მის მანჩესტერელ სეზნას ადგილი გაუთავისუფლა. 1997 წლის 24 მაისს სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში „ულალის“ დებიუტი შედგა. იგი შეცვლაზე ათი წუთით შევიდა, მაგრამ გლენ ჰოდლისთვის ეს დროც საკმარისი გამოდგა ახალწვეულის შესაფასებლად.



მომდევნო მატჩი იმავე წელს, საფრანგეთში გამართულ ოთხთა ტურნირზე (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ბრაზილია) ითამაშა. იტალიელებს 2:0 მოუგეს, მეორე გოლი სქოულზმა მიითვალა.

„ნაკრებში გამოძახებას ნაღდად არ ველოდი. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო — გაიხსენა „ულალმა“— ვიფიქრე, ალბათ რამდენიმე წუთს მეც მაღირსებენ-მეთქი, მაგრამ მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში რომ ჩამწერა, ავღელდი. ჰოდლმა დამამშვიდა და მითხრა, სანერვიულო არაფერია, გადი და ითამაშეო. პირველ წუთებში მუცლის ტკივილი ვიგრძენი, თუმც მერე გადამიარა და ნამატჩევს მივხვდი, რომ ჩემს კარიერაში ერთი ნაბიჯით წინ წავიწიე“.

ალექს ფერგიუსონმა შეგირდს საფრანგეთში დაურეკა და კარგი თამაში მიულოცა. „ძალიან მესიამოვნა, მაგრამ ფერგიუსონმა მაშინვე გამაფრთხილა, თავში არ აგივარდესო“. პოლ სქოულზს „ვარსკვლავური“ სენი არ შეჰყრია. „მამა და სიმამრი ჩემზე საგაზეთო სტატიებს აგროვებენ, მე კი გაზეთს თუ ვიყიდი, წავიკითხავ და ნაგავში ჩავაგდებ“ — თქვა ფეხბურთელმა.

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე, პირველივე მატჩში ტუნისთან ბრწყინვალე გოლი შეაგდო. მერე მაიკლ ოუენის ჩრდილში მოექცა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ დაუკარგავს.

ევრო 2000-ზე გასამგზავრებლად ინგლისი ჰლეი ოფში შოტლანდიას შეხვდა. გლაზგოში პირველი მატჩი ინგლისელებმა „ულალის“ წყვილი გოლით მოიგეს. კევინ კიგანმა საპასუხო თამაშამდე მხოლოდ ის გაუშვა შინ ოჯახის მოსანახულებლად. კიგანის შეგირდებმა შინ შოტლანდიელებთან 0:1 წააგეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე მაინც მოხვდნენ.

„ვარჯიში გულზე მაინცდამაინც არ მეხატება. ნირგვარი საფეხბურთო ილეთების დამუშავებას ვერ ვიტან. სირბილი კი ნებისმიერ მანძილზე მიყვარს. რაიან გიგზივით ნამატჩევს სხვადასხვა სათამაშო წვრილმანების გარჩევა არ შემიძლია, ტაქტიკაც უცხოა ჩემთვის, რადგან მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში მსურს. შანსი თუ მაქვს, კარში ვურტყამ — სულ ესაა ჩემი ფილოსოფია“.

დევიდ ბექემის წასვლის შემდეგ გუნდის ლიდერობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ თავმდაბალი სქოულზი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. განსაკუთრებით კი მედიასთან საუბარს გაურბის: „როცა ჟურნალისტები სტადიონის გასასვლელთან გველოდებიან, გზას ბექემს ვუთმობ. მას ლაპარაკი კარგად ეხერხება, მე კი ავტომობილთან შეუმჩნევლად მისვლა და შინ გაქცევა მირჩევნია“.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გუშინ პოლ სქოულზს ოთხწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 18 მილიონი გირვანქა შესთავაზა. „ულალი“ ალბათ ხელს მოაწერს და კვირაში 50 ათასი გირვანქის მაგივრად უკვე 90 ათასს მიიღებს.

ვაჟა ხუციშვილი



ბაროში ბარსელონეში იწევს

ჯერაც „ლივერპულში“ მყოფმა მილან ბაროშმა თქვა, რომ გუნდში რაფაელ ბენიტესის მოსვლა მას „ბარსელონაში“ წასვლისაგან არ დააკავებს, რადგან „ბარსა“ მისი ბავშვობის ოცნებაა.

ახლა „ლივერპული“ ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს 22 წლის ჩეხს, თუმცა გუნდში ჯიბრილ სისეს მისვლა იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ბაროშს კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, იმის მიუხედავად, რომ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე შეიქნა.

ევრო 2004-ის შემდეგ ბაროშით „რეალი“, „ასტონ ვილა“ და „ბარსელონა“ დაინტერესდნენ. ბაროში დიდად აკრიტიკებდა „ლივერპულის“ წინა მწვრთნელს, ჟერარ ულიეს, სკამზე დამამწნილაო, თუმცა, ახლაც ძალიან გაუჭირდება, რადგან საძირითადო ადგილისთვის ჯიბრილ სისეს, მაიკლ ოუენსა და ფლორენ სინამა-პონგოლეს უნდა აჯობოს, თანაც „ბარსელონაში“ გადასვლის ამბავი ჯერ გამოუკვეთავი ჩანს.

მარჩელო ლიპიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა, რაც ხელმოწერით დაამშვენა. „ჩვენი გარიგება ეჭქვეშ არასოდეს ყოფილა — განაცხადა მწვრთნელმა — მხოლოდ რამდენიმე დეტალი იყო შესათანხმებელი და ამიტომ დაგვაგვიანდა“.

კონტრაქტის თანახმად, მარჩელო ლიპი წელიწადში 700 ათას ევრო მიიღებს.

იუვენტუსი ჩელსის მუტუ მიუბრუნა

ადრიან მუტუმ და მისმა აგენტმა ჯოვანი ბეკალიმ ტურინში ტყუილად იარეს. საქმე ისაა, რომ რუმინელ ფორვარდს „ჩელსი“ „იუვენტუსს“ ერთი წლით უთმობდა, თუმც კლუბები ვერ შეთანხმდნენ.

ლონდონის „ჩელსის“ ოთხი თავდამსხმელი ჰყავს, მაგრამ ჟოზე მაურინიუმ მეოთხედ და ამ შემთხვევაში ზედმეტად ადრიან მუტუ მიიჩნია. გავიხსენოთ, რომ რუმინელი შარშან „პარმადან“ რომან აბრამოვიჩს კლაუდიო რანიერიმ აყიდინა.

წინა სეზონში ტრავმების გამო მუტუმ „ჩელსის“ ძარითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ამ ზაფხულს კი „არისტოკრატებმა“ დიდი დროება და მატეა კეჟმანი იყიდეს, მესამე მეგოლე ეიდურ გუდიონსენია. სწორედ ამ სამეულის კონკურენციას ვერ გაუძლო მუტუმ და მაურინიუმ ამიტომაც გააგზავნა ტურინს.

„ჩელსის“ სურდა, რომ ერთწლიანი იჯარის შემდეგ „იუვენტუსს“ მუტუ ეყიდა, მაგრამ იტალიელებმა ასეთი წინადადება იუარეს.

„მუტუ ოთხი წლით კვლავ „ჩელსის“ ფეხბურთელია“ — განაცხადა იტალიამოვლილმა ჯოვანი ბეკალიმ.

დაისლერი რაფაელმა იხსნა

სებასტიან დაისლერმა თქვა, რომ შარშანდელი დეპრესიიდან გამოსვლას ვაჟის დაბადებას უნდა უმადლოდეს, რომელიც 22 იანვარს მოევლინა ქვეყანას და ჯერ ექვსი თვისაც არ შესრულებულა.

გერმანული ფეხბურთის იმედმა ფსიქოლოგიური პრობლემების გამო მიუნხენის კლინიკაში ცხრა კვირა გაატარა. 22 იანვარს მისი ვაჟი, რაფაელი გაჩნდა, 27-ში კი დაისლერი კლინიკიდან გამოწერეს.

„რაფაელის დაბადებამ მიშველა. არაფერია უფრო უკეთესი, ახალგაღვიძებული კაცი პატარა ბავშვის სახეს რომ დაინახავს. მამა ვარ, რაც ძალიან მიხარია და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ“.

„ბასტი ფანტასტი“, როგორც მას გერმანიაში შეარქვეს, თამაშს და გამარჯვებას არის მოწყურებული: „ხანდახან მუხლი კი მაწუხებს, მაგრამ ისე მომენატრა ფეხბურთი, ნებისმიერი მატჩი საჩუქარივით მახარებს, ევრო 2000-ის შემდეგ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები გამოვტოვე, ახლა ჩემი მიზანი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე თამაშია. ბაიერნელები — ფრინგსი, ბალაკი და მე — შევეცდებით, მანამდე ისე შეკხმატკბილდეთ, რომ ჩვენი ძალა ნაკრებსაც დავატყოთ. პორტუგალიაში წაუსვლელობით კი გავიხარე, რადგან დიდი ხანია, ამდენი თავისუფალი დრო არ მქონია“.

ვაჟა ხუციშვილი

ეს ბიჭი პარმაში დარჩება

ჯილარდინო 30 მილიონადაც არ გაიყიდება

ალბერტო ჯილარდინომ საქვეყნოდ განაცხადა, რომ თავს უკვე რომაელად გრძნობს, მაგრამ „პარმას“ სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ ყმაწვილკაცი და მედია დააშოშმინა. „იგივეს გავიმეორებ, რაც ორიოდ კვირის წინ განვაცხადე. ეს ბიჭი არ იყიდება და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს. ჯილარდინო ჩვენთან დარჩება და 30 მილიონ ევროდაც არავის დავუთმობ“.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად უკვე „რომას“ მოთამაშე მატეო ფერარი ჯილარდინოს დედაქალაქში ეპატიჟებოდა, ჩვენთან გადმოდი, აქ უკეთესიაო. მერე ამერიკიდან შინ დაბრუნებულმა ფრანჩესკო ტოტიმაც იგივე იკისრა — ჯილარდინოს „რომაში“ უხმო. ეტყობა, მომხდარმა „პარმას“ დირექტორი ლუკა ბარალდი გააბრაზა და საპასუხო მოკლე სიტყვაც ამიტომ გამოცხვა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისური „ლივერპულის“ ნახევარმცველმა ვლადიმირ შმიცერმა ოპერაცია გაიკეთა. იგი სულ ცოტა, 6 თვე დაისვენებს, მაგრამ არსებობს იმის ალბათობაც, რომ ჩეხი საერთოდ ველარ დაუბრუნდეს მინდორს. „ექიმების თქმით, 75 პროცენტია შანსი იმისა, რომ თამაშს შევძლებ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა“ — თქვა შეფიქრიანებულმა შმიცერმა.

კამერუნელმა ფორვარდმა პატრიკ მბომამ იაპონიის დატოვება გადაწყვიტა. იგი უკვე რამდენიმე წელია აზიაში თამაშობს, კლუბ „ტოკიო ვერდის“ ფეხბურთელია. 33 წლის თავდამსხმელს მუხლის ტრავმის გამო შარშანდელი სეზონი თითქმის გაუცდა. ახლა კი მბომა მწყობრშია და ევროპაში გადაბარგების იმედი აქვს.

გერმანული „შტუტგარტის“ დირექტორმა იოხენ შნაიდერმა განაცხადა, კლუბის მთავარი ამოცანა ალექსანდრ გლების შენარჩუნებაა. ბელარუსი ფეხბურთელით რამდენიმე ინგლისური გრანდია დაინტერესებული, რაც „შტუტგარტის“ ხელმძღვანელობას სულაც არ სიამოვნებს. გერმანელები უახლოეს მომავალში გლებთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებენ.

ესპანური „ატლეტიკო“ ურუგვაელი ნახევარმცველით, მარსელო სოსათი გაძლიერდება. კონტრაქტი მას მერე გაფორმდება, როცა სოსა სამედიცინო შემოწმებას გაივლის. „იმედი მაქვს, მადრიდში ყველაფერი კარგად მექნება. ყოველთვის ისეთ ქვეყანაში მინდოდა თამაში, სადაც მე და ჩემს ოჯახს არანაირი პრობლემა არ შეგვექმნებოდა ენასთან და კულტურასთან დაკავშირებით“ — თქვა სოსამ.

სერბი მატეა კეჟმანი, როგორც მოსალოდნელი იყო, სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ — „რომას“ ამხანაგურ მატჩში კეჟმანი ოლივიე დაკურს ეჩხუბა. გადაწყვეტილება 17 აგვისტოს შევა ძალაში, რაც იმას ნიშნავს, რომ კეჟმანი 15 აგვისტოს, „მანჩესტერი იუნაიტედის“ წინააღმდეგ სავარაუდოდ ითამაშებს.

თურქული „ბეშიქთაშმა“ ვიგოს „სელტასგან“ 28 წლის მცველი გუსტავო ხუანფრანი შეიძინა. სტამბოლელებმა ესპანელებს 3,5 მილიონი ევრო გადაუხადეს, ხოლო ფეხბურთელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ეს ტრანსფერი თურქთა ახალი თავკაცის, ვისენტე დელ ბოსკეს ინიციატივით განხორციელდა, რომელსაც ხუანფრანი ჯერ კიდევ „ვალენსიაში“ თამაშისას ახსოვს.

ინგლისის ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა“ თავის სპონსორთან, მობილური კავშირის კომპანია O2-თან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. შეთანხმების პირობები არ ხმაურდება, მაგრამ ბრიტანული პრესის ცნობით, „მეთოფეები“ წელიწადში 12 მილიონ გირვანქას მიიღებს, რაც 2 მილიონით მეტია 2002 წელს გაფორმებული კონტრაქტის თანხაზე.

ფრანგული „ნანტის“ მცველი მეთიუ ბერსონი ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ გადადის. ინგლისელებს 24 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი დაახლოებით 2,3 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ბერსონს საფრანგეთის ჩემპიონატში ჩატარებულ 122 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი. მან „ნანტთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონატი და თასი მოიგო.

ჰოლანდიელ რუუდ ვან ნისტელროის მალე თიაქრის ოპერაციას გაუკეთებენ, რის შემდეგაც მას ერთთვიანი უქმობა ელის. შესაბამისად, ახლადდაქორწინებული ფეხბურთელი თავის გუნდს პრემიერლიგის სადებიუტო მატჩებში ვერ დაეხმარება. ეს კი „მანჩესტერისთვის“ უკვე სერიოზული პრობლემაა იმიტომ, რომ ალექს ფერგიუსონს გუნდი შეუთხელდა: დაშავებულია ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერი, კრისტიანო რონალდო და გაბრიელ ჰაინცე კი ოლიმპიადაზე მიდიან.

იტალიაში სატრანსფერო სეზონი, ისევე როგორც ევროპაში, ჯერ არ დახურულა: აპენინური სააგენტოების ცნობით კი სერია A-ს გუნდები ახლა უფრო სასურველი მეკარეების გადაბირებით არიან დაკავებულნი. მაგალითად, იწერება რომ კრისტიან აბიატი „პალერმოში“ გადავა, „მილანში“ ბრაზილიელი დიდას სათადარიგო ლაციოელი მატეო სერენი იქნება, ხოლო რომაულ კლუბში ანჯელო პერუცის კონკურენტად რეჯინელი ემანუელე ბელარდი ეყოლებაო.

რუსეთი

გადადებული მატჩი: ყუბანი — სპარტაკი 1:2

ზენიტი	18	11	3	4	35:23	36
ტორპედო	18	10	5	3	32:16	35
ცსკა	18	9	7	2	29:15	34
ლოკომოტივი	17	10	4	3	25:12	34
კრილია	18	10	4	4	30:26	34
სპარტაკი	17	7	3	7	27:27	24
სატურნი	18	4	11	3	19:16	23
მოსკოვი	17	6	5	6	22:21	23
რუბინი	18	4	8	6	18:18	20
ამკარი	18	4	8	6	14:24	20
დინამო	18	4	7	7	18:21	19
როსტოვი	18	5	4	9	19:25	19
ალანია	18	5	4	9	16:25	19
შინიკი	16	4	6	6	11:16	18
ყუბანი	18	2	7	9	16:27	13
როტორი	17	1	4	12	16:35	7

ფინეთი

გადადებული მატჩები: ჯაზი — მიუპა 0:4; ჰაკა — ინტერი 4:0; იარო — ალიანსი 1:2; როვანიემი — ტპ 47 1:1; ლაჰტი — ტამპერე 2:1

ჰაკა	17	11	4	2	34:9	37
ინტერი	17	9	2	6	33:26	29
ალიანსი	16	8	4	4	20:16	28
ტამპერე	16	8	3	5	25:14	27
ტურკუ	16	8	3	5	25:20	27
ჰიკ	16	6	8	2	26:17	26
მიუპა	17	7	5	5	20:19	26
ტპ 47	18	7	4	7	27:25	25
ლაჰტი	18	5	9	4	21:23	24
კტპ	16	6	5	5	23:20	23
ჯაზი	18	4	5	9	26:39	17
როვანიემი	18	4	4	10	18:34	16
იარო	18	3	2	13	18:37	11
ჰამენლინა	17	1	6	10	19:36	9

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ აღგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური						
		7 აგვისტო						
15.15	051	ლიდსი-დერბი	1,75	3,2	4,4	1,13	1,25	1,85
18.00	052	ბარნლი-შეფილდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
18.00	053	ქრიუ-კარდიფი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18.00	054	იფსვიჩი-ვილინგემი	1,55	3,4	6,0	1,06	1,23	2,17
18.00	055	ლესტერი-ვესტ ჰემი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
18.00	056	პლიმუთი-მილუოლი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	057	პრესტონი-უოტფორდი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
18.00	058	ქარ-როტერჰემი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	059	რედინგი-ბრაიტონი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
18.00	060	უიგანი-ნოტინგემი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
20.35	061	ქოვენთრი-სანდერლენდი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
		8 აგვისტო						
15.15	062	სტოკი-ეულვერჰემპტონი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
		ინგლისი. I ლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
18.00	068	ბრისტოლი-ტორკი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
18.00	069	ჩესტერფილდი-ბრენტფორდი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	070	დონკასტერი-ბლეკპული	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	071	ჰარტლპული-ბრედფორდი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
18.00	072	ჰალი-ბორნმუთი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	073	ლუტონი-ოლდემი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	074	დონსი-ბარნსლი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
18.00	075	პიტერბრო-ტრანმერი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
18.00	076	უენსდი-კოლჩესტერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	077	სტოკპორტი-ჰადერსფილდი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	078	უოლსოლი-პორტ ვეილი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	079	რექსემი-სუინდონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		ინგლისი. II ლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
18.00	083	ბოსტონი-ოქსფორდი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	084	ბერი-იოვილი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	085	დარლინგტონი-გრიმსბი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	086	ლეიტონი-მაკლსფილდი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	087	მენსფილდი-როვერსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	088	ნოტსი-ჩესტერი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	089	რაშდენი-კიდერმინსტერი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	090	სკანთორპი-როჩდეილი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	091	შრიუსბერი-ლინკოლნი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	092	საუთენდი-ჩელტენემი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	093	სუონსი-ნორთჰემპტონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	094	უიკომბი-კემბრიჯი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
15.30	098	აბერდინი-რეინჯერსი	7,0	3,6	1,45	2,37	1,2	1,03
18.00	099	დანდი-ჰართსი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
18.00	100	დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
18.00	101	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	102	ლივინგსტონი-ინვერნესი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		8 აგვისტო						
17.00	103	სელტიკი-მოზერუელი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
		შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
18.00	106	ერდრი-სტ.ჯონსტონი	2,9	3,4	2,1	1,56	1,21	1,29
18.00	107	კლაიდი-პარტიკი	2,7	3,4	2,2	1,5	1,21	1,33
18.00	108	ჰამილტონი-რეითი	1,95	3,4	3,2	1,23	1,21	1,64
18.00	109	ქუინი-როსი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	110	სტ.მირენი-ფოლკირკი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
		შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
18.00	113	ბერიკი-მორტონი	2,6	3,5	2,2	1,49	1,19	1,35
18.00	114	დამბარტონი-ეარი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
18.00	115	ფორფარი-ბრეჩინი	3,0	3,5	2,0	1,61	1,2	1,27
18.00	116	სტირლინგი-არბროთი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	117	სტრანრარი-ალოა	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
		შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
18.00	120	ისტ ფაიფი-მონტროუზი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
18.00	121	ვრეტნა-ალბიონი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
18.00	122	პიტერჰედი-ისტ სტირლინგი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
18.00	123	ქუინზ პარკი-კოუდენბითი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	124	სტენჰაუზმური-ელგინი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
		გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
17.30	002	ფრაიბურგი-ჰანზა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
17.30	003	ჰერტა-ბოხუმი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
17.30	004	ჰამბურგი-ბაიერნი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
17.30	005	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	006	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	007	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		8 აგვისტო						
19.30	008	შტუტგარტი-მაინცი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
19.30	009	არმინია-მიონხენგლადბახი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
15.00	127	დინამო-დუისბურგი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
15.00	128	ესენი-აუე	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
15.00	129	კარლსრუე-ბურგჰაუზენი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
		8 აგვისტო						
17.00	130	ფიურტი-ალენი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
17.00	131	ობერჰაუზენი-ტრირი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
17.00	132	კიოლნი-კოტბუსი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
17.00	133	მიუნხენი-უნტერჰახინგი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
17.00	134	ზაარბრიუკენი-ერფურტი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		9 აგვისტო						
22.15	135	ალემანია-აინტრახტი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). II ტური						
		7 აგვისტო						
16.00	142	ქემნიცი-ვერდერი(მ)	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
16.00	143	ლიუბეკი-მიუნსტერი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
16.00	144	არმინია(მ)-ურდინგენი	2,3	3,3	2,6	1,22	1,22	1,3
16.00	145	პადერბორნი-ჰერტა(მ)	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
		8 აგვისტო						
16.00	146	დორტმუნდი(მ)-ვოლფსბურგი(მ)	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
16.00	147	ჰამბურგი(მ)-კიოლნი(მ)	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). I ტური						
		7 აგვისტო						
16.30	155	აალენი-ჰოფენჰაიმი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23	1,54
16.30	156	კობლენცი-ნოტინგენი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.30	157	ვეენი-რეგენსბურგი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
16.30	158	აუგსბურგი-ელვერსბერგი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32

შესაძლო ცვლილებები აღგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 აგვისტო						
17.00	159	ფულენდორფი-ბაიერნი(მ)	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
		საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
19.15	164	სტ.ეტიენი-მონაკო	3,1	3,1	2,25	1,55	1,3	1,3
22.00	165	ბასტია-სტრასბური	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
22.00	166	კაენი-ისტრი	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
22.00	167	ლილი-ოსერი	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
22.00	168	მარსელი-ბორდო	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
22.00	169	მეცი-ნანტი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
22.00	170	რენი-პსჟ	2,8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35
22.00	171	სოშო-აიაჩო	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
22.00	172	ტულუზი-ლანსი	2,45	3,0	2,8	1,34	1,3	1,44
		საფრანგეთი. II დივიზიონი. I ტური						
		8 აგვისტო						
21.30	184	მონპელიე-ტრუა	1,75	2,9	5,0	1,09	1,29	1,83
		9 აგვისტო						
22.30	185	ლე ავრი-ნიორი	1,75	2,8	5,3	1,07	1,31	1,83
		ბელგია. I დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
20.00	190	ბევერენი-ბრიუგე	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
22.00	191	სტ.ტრუიდენი-მონსი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
22.00	192	ბრიუსელი-გენკი	3,4	3,2	2,05	1,64	1,27	1,24
22.00	193	სერკლი-ლოკერენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.00	194	გენტი-ბეერსხოტი	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
22.00	195	ლიერსი-სტანდარდი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
		8 აგვისტო						
17.00	196	ოსტენდე-ვესტერლო	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
17.00	197	შარლერუა-ლუვიე	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		ავსტრია. ბუნდესლიგა. IV ტური						
		7 აგვისტო						
21.30	201	ადმირა-მატერსბურგი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.30	203	პაშინგი-აუსტრია	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
21.30	204	რაპიდი-ზალცბურგი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
		8 აგვისტო						
21.30	205	ტიროლი-ბრეგენცი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		შვეიცარია. სუპერლიგა. IV ტური						
		7 აგვისტო						
19.00	223	თუნი-იანგ ბოიზი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
21.30	224	სტ.გალენი-ქსამაქსი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
21.30	225	აარაუ-სერვეტი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
		8 აგვისტო						
18.00	226	გრასჰოპერი-შაფჰაუზენი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა. II ტური						
		7 აგვისტო						
18.30	234	კონკორდია-ბოლმი	1,65	3,4	4,6	1,21	1,21	2,3
21.30	235	შო დე ფონი-ივერდონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
21.30	236	ბელინცონა-სიონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		8 აგვისტო						
16.30	237	იუვენტუსი-ვადუცი	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
		დანია. სუპერლიგა. III ტური						
		7 აგვისტო						
19.00	241	ვიბორგი-კოპენჰაგენი	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
		8 აგვისტო						
17.00	242	ესბიერგი-მიდტიულანდი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
17.00	243	ნორდსიელანდი-სილკებორგი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
17.00	244	ჰერფიოლგე-ოლბორგი	3,3	3,2	2,05	1,62	1,26	1,24
17.00	245	ოდენსე-რანდერსი	1,35	4,2	7,5	1,02	1,14	2,69
19.35	246	ორჰუსი-ბრიონდბიუ	3,8	3,2	1,85	1,73	1,24	1,17
		დანია. I დივიზიონი. II ტური						
		7 აგვისტო						
17.00	250	დალუმი-სკიოლდი	3,2	3,6	1,85	1,69	1,17	1,22
17.00	251	ბრიონსჰოი-ჰელერუპი	3,0	3,8	1,9	1,67	1,16	1,26
		8 აგვისტო						
15.00	252	აკადემისკი-ფრედერისია	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
15.00	253	ფრემადი-ვეილე	2,7	3,6	2,1	1,54	1,18	1,32
17.00	254	ჰორსენსი-სიონდერიისკე	2,1	3,6	2,7	1,32	1,18	1,54
17.00	255	კიოგე-ნესტვედი	1,35	4,2	7,0	1,02	1,13	2,62
17.00	256	ნიკობინგი-ფრემი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
		შვედეთი. ალსვენსკა. XV ტური						
		7 აგვისტო						
18.00	261	იურგორდენი-ლანდსკრონა	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 აგვისტო						
19.00	262	ჰამარბი-იორებრო	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
19.00	263	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		9 აგვისტო						
21.00	264	ჰალმსტადი-აიკ	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
21.00	265	სუნდსვალი-კალმარი	2,1	3,1	3,3	1,25	1,28	1,59
21.00	266	მალმიო-ტრელებორგი	1,3	4,2	9,0	1	1,13	2,86
22.00	267	გიოტებორგი-იორგრიტე	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
		შვედეთი. სუპერეტა. XVIII ტური						
		7 აგვისტო						
18.00	273	ვესტეროსი-ბრომაპოიკარნა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	274	ფრიოლუნდა-იოსტერსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	275	ბოდენსი-ბრაგე	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	276	გეფლე-ასირისკა	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
		8 აგვისტო						
19.00	278	ოპერა-ჰეკენი	3,0	3,2	2,15	1,54	1,25	1,28
20.00	279	ფალკენბერგი-ფრისკა	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
		ნორვეგია. ტიპელიგა. XVII ტური						
		8 აგვისტო						
20.00	282	ჰამარი-ბოდიო გლიმტი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
20.00	283	სოგნდალი-ლინი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
20.00	284	ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
20.00	285	რუსენბორგი-ლილესტრიომი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
20.00	286	ტრომსიო-სტაბეკი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
22.15	287	ოდ გრენლანდი-ბრანი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
		9 აგვისტო						
21.00	288	მოლდე-ვიკინგი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		ნორვეგია. I დივიზიონი. XVII ტური						
		8 აგვისტო						
20.00	291	ალესუნდი-ჰორს გრენლანდი	1,12	6,0	12,0	1	1,02	4
20.00	292	ბრინი-რაუფოსი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
20.00	293	ჰაუგესუნდი-სტრიომსგოდსეტი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
20.00	294	ჰიონეფოსი-ჰიოდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
20.00	295	კონგსვინგერი-მანდალი	1,9	3,8	3,0	1,26	1,16	1,67
20.00	296	მოსი-სკეიდი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
20.00	297	სანდეფიორდი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,2	5,6	8,0	1	1,04	3,29
20.00	298	სტარტი-ტრომსდალენი	1,12	6,0	12,0	1	1,02	4
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVIII ტური						
		8 აგვისტო						
19.30	306	კტპ-ჰაამეენლინა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
19.30	307	ტპ 47-ჰიკ	3,0	3,2	2,15	1,54	1,25	1,28
19.30	308	ტურკუ-როვანიემი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XIII ტური						
		8 აგვისტო						
21.00	312	რეიკიავიკი-ვესტმანაეიარი	2,05	3,1	3,2	1,23	1,24	1,57
22.00	313	კეფლავიკი-ფილკირი	2,45	3,0	2,5	1,34	1,23	1,36
22.00	314	აკურეირი-აკრანესი	2,8	3,1	2,25	1,47	1,24	1,3
22.00	315	ჰაფნარფიორდური-ვიკინგური	1,6	3,3	5,0	1,07	1,21	1,98
		9 აგვისტო						
23.15	316	ფრამი-გრინდავიკი	2,2	3,1	2,9	1,28	1,25	1,49
		თურქეთი. სუპერლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
19.00	327	გენჩლერბირლიგი-საკარია	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
20.00	328	კაისერი-ტრაბზონი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
20.00	329	დენიზლი-გაზიანთეფი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
21.00	330	მალათია-ბეშიქთაში	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
		8 აგვისტო						
18.00	331	ისთანბული-დიარბაქირი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
18.00	332	სებათი-ანკარა	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
20.00	333	გალათასარაი-კონია	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
20.00	334	სამსუნი-ანკარაგიუჯიუ	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
		7 აგვისტო						
16.00	340	ლოკომოტივი-სპარტაკი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
16.00	341	შინიკი-მოსკოვი	1,9	3,0	3,8	1,16	1,26	1,67
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. I ტური						
		7 აგვისტო						
16.25	344	ბანიკი-ტეპლიცე	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
19.00	345	სპარტა-სლოვაკკო	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
22.00	346	ზლინი-სლავია	2,45	3,0	2,6	1,34	1,26	1,39
22.00	347	სიგმა-ბუდეიოვიცე	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.00	348	ბრნო-დრნოვიცე	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
22.00	349	ლიბერეცი-ბლშანი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 აგვისტო						
19.00	350	პრეიბრამი-ოპავა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
		9 აგვისტო						
18.40	351	ბოლესლავი-იაბლონეცი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44
		სლოვაკეთი. I ლიგა. III ტური						
		7 აგვისტო						
19.00	355	ბ.ბისტრიცა-ჟილინა	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
19.00	356	დუბნიცა-ტრენჩინი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
19.00	357	პუხოვი-რუჟომბეროკი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
19.00	358	სობოტა-ინტერი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		8 აგვისტო						
12.30	359	პეტრუალკა-ტრნავა	1,95	3,1	3,5	1,19	1,25	1,64
		სერბეთი. I დივიზიონი. I ტური						
		7 აგვისტო						
19.30	362	ცრვენა ზვეზდა-ბორაცი	1,1	4,6	10,0	1	1	3,15
19.30	363	ჩუკარიჩკი-ჰაიდუკი(კ)	1,95	3,1	3,2	1,19	1,21	1,57
19.30	364	ჰაიდუკი(ბ)-სმედერევო	2,4	3,1	2,4	1,35	1,2	1,35
19.30	367	ზემუნი-ბუდუჩნოსტი	1,7	3,2	4,2	1,11	1,21	1,81
19.30	368	ზეტა-რადნიჩკი	1,45	3,5	5,6	1,02	1,15	2,15
		8 აგვისტო						
18.45	369	სუტიესკა-პარტიზანი	4,8	3,4	1,55	1,99	1,17	1,06
		ხორვატია. 1.HNL. III ტური						
		7 აგვისტო						
22.45	373	დინამო-ოსიეკი	1,25	4,4	9,0	1	1,09	2,95
22.00	374	კამენი-ინტერი	1,85	3,2	3,5	1,17	1,21	1,67
19.30	375	მედიმურიე-ჰაიდუკი	4,0	4,0	1,4	2	1,03	1,03
19.30	376	სლავენი-რიეკა	2,15	3,1	2,9	1,26	1,23	1,49
19.30	377	ზადარი-ვარტეკსი	2,4	3,1	2,5	1,35	1,22	1,38
19.30	378	ზაგრები-პულა	1,7	3,4	4,0	1,13	1,19	1,83
		სლოვენია. სი მობილ ლიგა. II ტური						
		8 აგვისტო						
19.30	383	ბელა კრაინა-მარიბორი	4,2	3,4	1,65	1,87	1,18	1,11
19.30	384	დრავა-მურა	3,0	3,2	2,1	1,54	1,23	1,26
19.30	385	ზაგორიე-დომჟალე	2,5	3,2	2,35	1,4	1,21	1,35
22.30	386	გორიცა-ლიუბლიანა	1,45	3,6	6,0	1,03	1,16	2,25
		პოლონეთი. I ლიგა. II ტური						
		7 აგვისტო						
20.00	390	გურნიკი-პოგონი	2,0	3,1	3,2	1,21	1,23	1,57
20.00	391	გროცლინი-კატოვიცე	1,2	4,8	9,0	1	1,05	3,13
20.00	392	ლეჩნა-კრაკოვია	2,5	3,1	2,4	1,38	1,22	1,35
20.00	393	ოდრა-ზაგლებე	1,8	3,1	3,6	1,13	1,19	1,66
21.30	394	ვისლა-პოლონია	1,15	5,0	10,0	1	1,03	3,33
		8 აგვისტო						
19.00	395	ლეხი-პლოცკი	1,7	3,2	4,2	1,11	1,21	1,81
		უნგრეთი. NB1. I ტური						
		7 აგვისტო						
20.00	398	ნირედიჰაზა-ბეკეშჩაბა	2,0	3,2	3,2	1,23	1,23	1,6
22.00	399	დიოშდიორი-ტატაბანია	1,8	3,2	3,6	1,15	1,19	1,69
22.00	400	ჰონვედი-დებრეცენი	2,6	3,0	2,4	1,39	1,24	1,33
22.00	401	კაპოშვარი-ვაშაში	2,2	3,1	2,9	1,28	1,25	1,49
22.00	402	მტკ-სოპრონი	1,65	3,3	4,6	1,11	1,31	1,62
22.00	403	ვიდეოტონი-უიპეშტი	2,5	2,9	2,5	1,34	1,25	1,34
22.00	404	ზალაეგერსეგი-პეჩი	1,9	3,1	3,5	1,17	1,23	1,64
		8 აგვისტო						
13.30	405	ეტო-ფერენცვაროში	3,3	3,1	2,0	1,59	1,24	1,21
		ბრაზილია. სერია A. XXII ტური						
		7 აგვისტო						
23.00	423	სანტოსი-სან კაეტანო	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
23.00	424	ფლუმინენსე-პარანა	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03
23.00	425	გოიასი-კურიტიბა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
01.00	426	ატლეტიკო მნ-გრემიო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		8 აგვისტო						
23.00	427	კორინთიანსი-ბოტაფოგო	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.00	428	გუარანი-პაისანდუ	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
23.00	429	ინტერნასიონალი-პონტე პრეტა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
23.00	430	ქუვენტუდი-ფიგეირენსე	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
23.00	431	ვიტორია-კრუზეირო	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
23.00	432	ფლამენგო-სან პაულუ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
01.00	433	კრიციუმა-პალმეირასი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
01.00	434	ატლეტიკო პრ-ვასკუ და გამა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		ჩილე. კლაუსურა. II ტური						
		7 აგვისტო						
24.00	438	კოლო კოლო-კობრესალი	1,35	4,0	7,0	1	1,13	2,54
24.00	439	კოკიმბო-აუდაქსი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
24.00	440	უაჩიპატო-ტემუკო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
24.00	441	პუერტო მონტი-პალესტინო	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
24.00	442	რეინჯერსი-უნ.ჩილე	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
24.00	443	უონდერერსი-კონსეპსიონი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
24.00	444	უნ.ესპანიოლა-სერენა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
24.00	445	სან ფილიპე-ევერტონი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
24.00	446	უნ.კატოლიკა-კობრელოა	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		აშშ. MLS						
		7 აგვისტო						
24.00	450	ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
04.30	451	დალასი-კოლორადო	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
06.00	452	სან ხოსე-ვაშინგტონი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		8 აგვისტო						
02.05	453	ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
		ინგლისი. სუპერთასი						
		8 აგვისტო						
18.00	456	არსენალი-მანჩესტერი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
		ჰოლანდია. სუპერთასი						
		8 აგვისტო						
20.00	457	აიაქსი-უტრეხტი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5002	ფრაიბურგი-ჰანზა	2,45	2,05	4,2	1,11	1,54	1,37
5003	ჰერტა-ბოხუმი	2,25	2,1	4,8	1,08	1,53	1,46
5004	ჰამბურგი-ბაიერნი	4,4	2,05	2,4	1,39	1,55	1,1
5005	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,85	2,25	6,5	1,01	1,44	1,67
5006	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,85	2,3	6,0	1,02	1,41	1,66
5007	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	2,25	2,1	4,8	1,08	1,53	1,46
5008	შტუტგარტი-მაინცი	1,65	2,6	7,0	1	1,33	1,89
5009	არმინია-მიონხენგლადბახი	2,7	2,05	3,6	1,16	1,54	1,3

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წესი ფასებულად ჩაითვლება)

5402	ფრაიბურგი-ჰანზა	1,75	2,1
5403	ჰერტა-ბოხუმი	1,6	2,4
5404	ჰამბურგი-ბაიერნი	2,1	1,75
5405	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,4	3,0
5406	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,4	3,0
5407	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	1,6	2,4
5408	შტუტგარტი-მაინცი	1,35	3,2
5409	არმინია-მიონხენგლადბახი	1,85	1,95

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5102	ფრაიბურგი-ჰანზა	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,3
5103	ჰერტა-ბოხუმი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5104	ჰამბურგი-ბაიერნი	5,3	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,0
5105	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	2,0	12,0	25,0	3,4	4,8	10,0	20,0	10,0	10,0
5106	ლევერკუზენი-ჰანოვერი	2,0	12,0	25,0	3,4	4,8	10,0	20,0	10,0	10,0
5107	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	2,6	10,0	20,0	3,6	4,6	7,0	20,0	10,0	6,5
5108	შტუტგარტი-მაინცი	1,8	15,0	30,0	3,4	4,8	12,0	20,0	11,0	11,0
5109	არმინია-მიონხენგლადბახი	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,6

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5502	ფრაიბურგი-ჰანზა	3,0	2,8	2,0
5503	ჰერტა-ბოხუმი	3,0	2,8	2,0
5504	ჰამბურგი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0
5505	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	3,0	2,8	2,0
5506	ლევერკუზენი-ჰანოვერი	3,0	2,8	2,0
5507	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	3,0	2,8	2,0
5508	შტუტგარტი-მაინცი	3,0	2,8	2,0
5509	არმინია-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5302	ფრაიბურგი-ჰანზა	1,65	1,95
5303	ჰერტა-ბოხუმი	1,65	1,95
5304	ჰამბურგი-ბაიერნი	1,6	2,0
5305	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,65	1,95
5306	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,65	1,95
5307	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	1,65	1,95
5308	შტუტგარტი-მაინცი	1,7	1,9
5309	არმინია-მიონხენგლადბახი	1,6	2,0

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5202	ფრაიბურგი-ჰანზა	1,95	1,65
5203	ჰერტა-ბოხუმი	1,95	1,65
5204	ჰამბურგი-ბაიერნი	1,95	1,65
5205	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	2,1	1,55
5206	ლევერკუზენი-ჰანოვერი	2,1	1,55
5207	კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი	1,9	1,7
5208	შტუტგარტი-მაინცი	2,0	1,6
5209	არმინია-მიონხენგლადბახი	1,95	1,65

ათენიდან ათენამდე
ჩვენი კოლეგების ტელეთვალით



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

თამარ ბალავაძე

გიორგი ფრანგიშვილი

აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ტელეკომპანია „იმედი" გვიჩვენებს ცნობილი და პოპულარული ტელეჟურნალისტების თამარ ბალავაძისა და გიორგი ფრანგიშვილის 13-სერიან ფილმს „ათენიდან ათენამდე". პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ ჯარგი და მეტად საჭირო ფილმია! ჯარგია ჩანაფიქრიც და მისი ხორცშესხმაც.

რაკი ყოველ კარგ საქმეს დანახვა და დაფასება უნდა, ჩვენც აღვნიშნავთ ამ მნიშვნელოვან ფილმს, მით უმეტეს, ეს ჩვენი ისტორიაა, ქართველი ოლიმპიელებისა და საერთოდ საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებების მატიანეა. ესაა ზოგადად ოლიმპიური თამაშების ისტორიაც...

ამ შემოდგომაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების 15 წლის იუბილე აღინიშნება. გარკვეულწილად „ათენიდან ათენამდე" ამ თარიღს ეძღვნება. ეს ფილმი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჩვენს ოლიმპიურ მოძრაობას, საერთოდ საქართველოს სპორტს გაცილებით ძველი და საამაყო ისტორია აქვს. ამ ისტორიის ფურცლები ქართულ კინემატოგრაფიაშიც ასახულა და სპორტულ ტელეჟურნალისტიკაშიც. ბალავაძემ და ფრანგიშვილმა შეძლეს არქივებში მტვერწაყრილი მასალის მოძიება, მოკვლევა და ერთ ფილმად გაერთიანება.

***

მანამ ფილმზე საუბარს გავაგრძელებდეთ, უპრიანი იქნება ზოგადად ოლიმპიური და ჩვენი სპორტული ფილმების ისტორიის გახსენება.

კინოფირზე აღბეჭდილი პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელსაც მიაგნეს, 1908 წლითაა დათარიღებული. ესაა ლონდონში გამართული IV ოლიმპიური ასპარეზობა.

სწორედ 1908 და მომდევნო წელს ვასილ ამაშუკელმა ბაქოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულ კინოთეატრ „ბიოგრაფიისთვის" გადაიღო კინოსიუჟეტი „ქართველ მსახიობთა სეირნობა კასპიის ზღვის პირას", „გუნიბის პოლკის აღლუმი კაპიტან ესაძის მეთაურობით", „ქალაქ ბაქოს ხედები" და სხვა, რომლებიც უცხოეთშიც ვრცელდებოდა.

1912 წელს ვასილ ამაშუკელმა გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი კინონარკვევი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც მსოფლიო კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის დოკუმენტური ფილმების საგანძურში შედის და მის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში დღესდღეობით არ მოიძებნება იმ პერიოდში გადაღებული ასეთი ფართომასშტაბიანი ფილმი.

„აკაკი წერეთლის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში" მოჰყვა სხვა დოკუმენტური ფილმები, მხატვრული, თუ სამეცნიერო, რომლებშიც სპორტული თემატიკაც ფართოდ აისახა. ეს ფილმები საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებშიც მონაწილეობდნენ, პრიზებიც დაიმსახურეს და ფართო აღიარებაც მოიპოვეს.

პირველი ქართული ფილმი, რომელმაც გზა გაიკაფა საერთაშორისო ფესტივალზე, სწორედ სპორტული იყო. ეს გახლდათ ვლადიმერ ვალიშვილის მხატვრული კინონარკვევი „უშბა", რომელიც სვანეთის ამ ულამაზეს მწვერვალზე ასვლისას დაღუპულ ჩვენს სახელგანთქმულ თამამსვლელ ალიოშა ჯაფარიძეს მიეძღვნა. ეს ფილმი 1947 წელს ვენეციაში გამართულ სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე იყო წარმოდგენილი, რომელშიც პირველად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირი.

მას შემდეგ სხვადასხვა საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებზე მრავალი ქართული სპორტული ფილმი: დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, კინოჟურნალი თუ მხატვრული ფილმი მონაწილეობდა, რაც სხვადასხვა პრემიებით აღინიშნა, მათ შორის „უშბა", „პამირის მწვერვალებზე", „ფეხბურთი უბურთოდ", „ქართული ჭიდაობა", „ბურთი და მოედანი", „უშბაზე ძლიერნი", „გურამ საღარაძე", „სპორტსმენები", „ეს რაგბია"... ამასთან, ეს ფილმები არაერთ კონკურსზე მონაწილეობდნენ და ყველგან წარმატება მოიპოვეს.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მერე, როცა ქვეყანა მძიმე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდა, კინემატოგრაფსაც შავი დღე დაადგა. თუმცა, ასეთ ვითარებაში წარმატება ისევ მოვიდა. ამ გაჭირვებულ ყოფაში პირველად ხელი თავად სპორტსმენებმა გამოიღეს. ვგულისხმობთ ჩვენს თამამსვლელებს ბიძინა გუჯაბიძესა და ბენო ქაშაკაშვილს, რომლებმაც თავიანთი ლაშქრობები თავადვე გადაიღეს და სამთო ფილმების მოსკოვის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე სხვადასხვა ნომინაციაში ოთხი პირველი პრიზი მოიპოვეს. ეს ფილმებია „რანდევუ ელ კაპიტანთან" და „ყველაზე ჩრდილოეთის შვიდიათასიანზე".

***

ახლა დავუბრუნდეთ თამარ ბალავაძისა და გიორგი ფრანგიშვილის ნამუშევარს.

ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ ფილმის ავტორებს კონკურსზე მივანიჭებდით პრიზს „საარქივო მასალის საუკეთესოდ გამოყენებისთვის" და არც სხვა ჯილდოს დავიშურებდით

„ფილმში ბევრი ისეთი უნიკალური კადრია, რომელთა არსებობაზე ჩვენი ტელევიზიის თანამშრომლებსაც კი არ გვქონდა წარმოდგენა. ისინი არქივებში ქექვისას აღმოვაჩინეთ" — გვითხრა გიორგი ფრანგიშვილმა.

„ათენიდან ათენამდე" ვხედავთ ცნობილ და მივიწყებულ კინოკადრებსაც, რომლებიც ძველ თაობას სასიხარულო ამბებს ახსენებს, მოგონებებს უღვივებს, ახალგაზრდობას კი აცნობს წარსულ დიდებას. ფილმი დინამიურად შეგვახსენებს ერთი ოლიმპიური თამაშებიდან მეორე ოლიმპიურ თამაშებამდე ოთხწლიან მონაკვეთში მიმდინარე უმთავრეს სპორტულ მოვლენებს, რაც თავად ოლიმპიადის ამბებით თავდება, მომდევნო ფილმში კი უკვე შემდგომი ოლიმპიური ციკლის ჩაცოცხლება იწყება და ასე შემდეგ...

ძირითადად მოთხრობილია მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონებზე, თუმცა, ფილმში საკმაო ადგილი ეთმობა სიუჟეტებს ისეთ სპორტსმენებზე ან მოვლენებზე, რომლებიც არც მსოფლიოს ჩემპიონატებთან და არც ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ მათზე გვერდის ავლა წარმოუდგენელი იყო. მაგალითად, თბილისელ კალათბურთელთა მიერ ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება, ან სიუჟეტი მთამსვლელ მიხეილ ხერგიანზე... იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ დიდ სპორტსმენზე ან მოვლენაზე არ არსებობს კინოკადრები, ფილმის ავტორები ფოტოებს მიმართავენ.

„ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა საკუთარი თვალით დანახული, მეტნაკლებად ჭარბეფერადი ისტორია ქართული სპორტისა და ჩემპიონებისა. ვცდილობ ბევრი ფიქრი ჩემპიონი და თითოეულზე ინფორმაციის მიცემაც გვსურდა, მაგრამ ჩვენ დამოკიდებული ვიყავით ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე, რომელთა მოძიებაც შევძელით. ბევრი მასალა არ არსებობს, ბევრი სპორტსმენი ჩვენს შორის აღარ არის. გული გვეთანაღრება, რომ ფილმში ვერ მოხვდნენ ევროპის ჩემპიონები, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა" — გვითხრა თამარ ბალავაძემ.

„ფილმში სრულადაა წარმოდგენილი ქართული არქივი — გვეუბნება გიორგი ფრანგიშვილი ჩვენს კინემატოგრაფისტებს საკმაო მასალა დაუგროვებიათ. საბჭოთა დროს ისინი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდნენ სპორტულ თემატიკაზე. მარტო ჯუმბერ ებრალიძემ რამდენიმე ათეული ფილმი გადაიღო სპორტულ თემაზე..."

ფილმში შესულია ჩვენი სპორტსმენების მოგონებები. დღევანდელი გადასახედიდან მათ მიერ წლების წინათ გარდახდენილი ბრძოლების გახსენება ფილმს უფრო აცოცხლებს და საინტერესოს ხდის.

„თითქმის 25 წელიწადია, რაც ტელევიზიაში ვმუშაობ — ამბობს გიორგი ფრანგიშვილი — ამ ხნის განმავლობაში უამრავი მასალა დაგვიგროვდა, 90-იანი წლების ბოლოს კი დაგვებადა იდეა, ეს ყველაფერი ერთ ფილმში გაგვეერთიანებინა, მაგრამ არ იყო სახსრები. მერე ჩვენი იდეა ბალავაძემ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს, თავადაც ჟურნალისტ ემზარ ზენაიშვილს გაანდო. იმანაც უმალ აუღო ალღო ჩვენს ჩანაფიქრს, პროექტის კოორდინატორობა ითავა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დახმარებით ფილმიც შეიქმნა. ოლიმპიური ფონდი დამკვეთიც აღმოჩნდა და დამფინანსებელიც.

ახლა ცამეტივე 30-35 წუთიანი ფილმი თავდება წარწერით, რომ არა ბადრი პატარკაციშვილი, ეს ფილმი ვერ შეიქმნებოდაო.

პროექტის რეჟისორია ლევან ადამია, ოპერატორი კახა ბუხრაშვილი, ვიდეოინჟინერი ზვიად ალხანაძე.

მათი ფილმი „ათენი 2004-ის" ბატალიებამდე ამბებით თავდება, თუმცა ოლიმპიადები გრძელდება, მათთან ერთად ჩვენი სპორტული ისტორიაც და ბუნებრივია, ამ სფეროს მემატიანეთა საქმიანობაც.

ავთანდილ გურასაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

1975 წელი, ტალინის „კალევის" კორტები. საქართველოს ტელევიზიის რეჟისორი ჯუმბერ ებრალიძე (მარჯვნიდან პირველი) ალექსანდრე მეტრეველზე ფილმის გადაღებისას

ჩვენი კოლეგების ფილმი თბილისის „დინამოს" კალათბურთელების ევროპის ჩემპიონთა თასით საქართველოს დედაქალაქში ტრიუმფალურ დაბრუნებასაც შეგვახსენებს

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ



ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ
მთავარი მწვრთნელი

ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ (60)

დაიბადა 1975 წლის 20 ივლისს, მესტიაში
სიმაღლე: 162 სმ; წონა: 64 კგ
ოჯახი: მეუღლე გვანცა ლომაშვილი, შვილები 5 წლის ირაკლი და 3 წლის ანი

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1998 ევროპის ჩემპიონატი — ოქრო
1999 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
1999 მსოფლიოს ჩემპიონატი — ბრინჯაო
2000 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
2001 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
2002 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო
2002-2003 ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2002 მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლი
2003 ევროპის ჩემპიონატი — ოქრო



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲠᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ (66)

დაიბადა 1980 წლის 11 აგვისტოს, ახმეტაში
სიმაღლე: 172 სმ; წონა: 72 კგ
ოჯახი: ძმა და დედა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1998 ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი — ოქრო
2001 ევროპის ჩემპიონატი — ვერცხლი
2002 მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლი
2002 მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლი
2003 ევროპის ჩემპიონატი — ვერცხლი



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲔᲕᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (73)

დაიბადა 1983 წლის 5 იანვარს, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში
სიმაღლე: 174 სმ; წონა: 76 კგ
ოჯახი: და და მშობლები

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

2002 ევროპის ჩემპიონატი — ვერცხლი
2002 ევროპის გუნდური ჩემპიონატი — ოქრო
2002 მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი — ვერცხლი
2002 ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი — ოქრო
2004 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘᲡ

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ძიუდოისტთა ნაკრები ერთადერთი ქართული გუნდია, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიათა სრული პაკეტი რომ მოიპოვა. ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გუნდისგან ათენში წარმატებულ გამოსვლას გულშემატკივარიც განსაკუთრებით მოელის. საერთო აზრი ასეთია: ხაბარელის შვიდეულიდან ოლიმპიური მედლის აღება ყველას შეუძლია. გამორჩეული გუნდური სულისკვეთების გამო გადავწყვიტეთ, ოლიმპიური შვიდეული არც წინასაოლიმპიადო წარდგენაში დაგვეცილებინა ერთმანეთისგან და მინიდოსიეებთან ერთად მათი ნაუბრიდან გთავაზობთ ნაწყვეტებს. საუბარი ორიოდ დღის წინ ლიკანურ შეკრებაზე შედგა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

სპორტული კარიერა ყველაზე საინტერესოდ ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ლაშა გუჯეჯიანმა დაიწყო. მძიმეწონოსანმა, რომელსაც მთელი სანათესაო ბავშვობიდანვე მოჭიდავეობას უწინასწარმეტყველებდა, პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლად გადადგა.

ლაშა გუჯეჯიანი: „ხუთი კილო და ექვსასი გრამი დავიბადე. მსუბუქი არასოდეს ვყოფილვარ. ფიზიკური მონაცემების გამო საჩხუბრადაც ხშირად დავყვებოდი მეგობრებს თუ მეზობლებს და შინაც მეუბნებოდნენ, მოჭიდავე უნდა გამოხვიდეო, თუმც რატომღაც სიტყვის შესრულებას არ ჩქარობდნენ. ეგ იყო, ცოტა ხანს კარატეზე მატარეს. თითებზეც ვიწეოდი ბრუს ლის სიყვარულით. 6 თუ 7 წლის ვიყავი, პლეხანოვზე, „შევარდნის“ დარბაზში, მეზობელს ჩუმად რომ გავყევი და მასთან ერთად მეც ვივარჯიშე გურამ მოდებაძესთან. მთელი თვე ისე დავიპარებოდი, ოჯახს არაფერი გაუგია. მერე კი შეჯიბრი იწყებოდა და ჩემი ჭიდაობის სანახავად ყველა დავპატიჟე. კინაღამ გაგიჟდნენ, თუმც მაინც მაჭიდავეს და თავადაც მიქომაგეს. მეორე ადგილზე გავედი და აბა, ძიუდოდან გამოყვანაზე ხმას ვინღა დაძრავდა. პირიქით, დაფინანსება დაიწყეს.“

დავით ქევხიშვილი დარბაზში ხუთი წლის ასაკში მამამ მიიყვანა. ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში სხვა არჩევანი არც იყო. ყველა ძიუდოს ეტანებოდა. ახალი თაობის გამოწრთობას ხომ თავის თავზე 1968 წლის ევროპის ჩემპიონი როინ მაღალთაძე იღებდა.

დავით მარგოშვილს, ქევხიშვილისგან განსხვავებით, მწვრთნელის ხელში ჩავარდნამდე სპორტული გამოცდილების მიღებაც მოესწრო: „ჭადრაკზე ვიარე ცოტა ხანს და მივხვდი, საჩემო არ იყო. ჭიდაობა პატარაობიდანვე ყველაფერს მერჩივნა. ეზოში უფროსები ხშირად მაჭიდავებდნენ. ალბათ კარგადაც გამომდიოდა. ერთხელაც ანზორ მარგველანის ვაჟმა ვაკის დარბაზში წამიყვანა და მას მერე ძიუდოს აღარ ჩამოვცილებივარ. ერთხანს პარალელურად ფეხბურთზეც დავდიოდი.“

11 წლისა მამამ აჭიდავა ივერი ჯიქურაული და ვარჯიშის დაწყებიდან უკვე ერთ კვირაში საქართველოს ჩემპიონიც კი გახდა. თუმც ივერი პარალელურად მძლეოსნობაზეც დადიოდა და იქაც პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლებოდა. საქართველოს ჩემპიონატზე აქაც წარმატებით გამოვიდა: ბადროსა და შუბის ტყორცნაში ბრინჯაო ირგუნა.

ნესტორ ხერგიანი პირველად ჩემპიონი მესტიის რაიონის პირველობაზე 25 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამხადარა. ამბობს, ჩემი ფოტო მაშინ რომელიღაც გაზეთში დაიბეჭდა და მეზობლიდან მეზობელთან დამქონდაო. ხერგიანი დიდ ძიუდოში საკმაოდ გვიან, 20 წლის ასაკში გადავიდა, მანამდე კი ევროპულ თუ მსოფლიოს სარბიელზე სამბისტის რანგში დადიოდა. სკოლის ასაკში ძალა მთამსვლელობაშიც უცდია, მაგრამ სერიოზულად ამაზე არასოდეს უფიქრია.

ᲯᲔᲠᲮᲘ

ქუთაისელ გრიგოლ მამრიკიშვილს მისაბაძ ძიუდოისტად თანაქალაქელი დავით ხახალეიშვილი მიაჩნია: „იგი უდიდესი სპორტსმენია და მქონდა ბედნიერება, მის გვერდით მევარჯიშა. არასოდეს დამავიწყდება, ათენის ოლიმპიადის წინ როგორ გამამხნევა. ახლა ლიკანში ჩამომაკითხა და საბრძოლო ჟინი გამიათამაგა. მითხრა, ოლიმპიადაზე წარმატებისთვის მარტო ჭიდაობა არ გეყოფა, უნდა იჩხუბოო.“

„დავით ხახალეიშვილი და ამირან ტოტიკაშვილი რკინის კაცები მეგონნენ — ამბობს ჯიქურაული. მათ შემყურეს მუდამ ვარჯიში მინდებოდა, როგორმე სხვებისთვის მისაბაძი მეც რომ გამხდარიყავი.“

გუჯეჯიანის კერპიც დავით ხახალეიშვილია, მაგრამ ასაკიდან გამომდინარე, მისი ჭიდაობის ცოცხლად ნახვა ვერ მოუსწრია და მხოლოდ კასეტებით იცნობს. მარგოშვილს კი მისაბაძი ძიუდოისტი არ ჰყოლია — ვარჯიში დავიწყე თუ არა, მაშინვე ვფიქრობდი, ყველა მე დამმგვანებოდაო.

ᲞᲝᲜᲐᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ზურაბ ზვიადაური: ჩემი წონა განსაკუთრებული იმითა, რომ ფავორიტი არ ჰყავს. შემიძლია, დაახლოებით თხუთმეტამდე ძიუდოისტი ჩამოვთვალო, ოლიმპიური ოქროს აღება რომ შეუძლიათ.“

ნესტორ ხერგიანის უმთავრესი კონკურენტი კი თანამედროვე ძიუდოს კაშკაშა ვარსკვლავი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი ტადაჰირო ნომურაა. მის ძალას არათუ ნესტორი, მთელი მსოფლიო აღიარებს. „ნომურა აშკარა ფავორიტია, მაგრამ ოქრო განადღებული არც მას აქვს. შარშან პარიზის საერთაშორისო ტურნირზე მსაჯების დახმარებით მომიგო“ — ამბობს ნესტორი.

მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფალავანთან, ასევე იაპონელ მოტოკაცუ ინოესთან აქვს საქმე ივერი ჯიქურაულს და მის ძალას თავადაც აღიარებს: „ინოე 100 კილოგრამში უძლიერესი ფალავანია.“

ᲣᲘᲚᲑᲚᲝᲑᲐ

აქ კი ივერი ჯიქურაულს ვერავინ გაეჯიბრება. ექვსი ევროპის ჩემპიონატიდან ჩამოტანილ ექვს მედალში ერთი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაოა. ფინალში გაღწევასა და იქ წარმატებაში კი მუდამ დასანანი შეცდომა ან მიკერძოებული მსაჯობა უშლიდა ხელს.

ივერი ჯიქურაული: „ვერ გამიგია, რას მერჩიან. უსამართლობას უკვე დიდი ხანია, შევეგუე და ყოველ შემდგომ ტურნირზე იმ შემართებით მივდივარ, რომ ერთ სპო-

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲛᲐᲛᲠᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ (81)

დაიბადა 1981 წლის 2 მარტს, თერჯოლის რაიონის სოფელ ოდილაურში

სიმაღლე: 182 სმ; წონა: 81 კგ

ოჯახი: და და მშობლები

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

2000 მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი — ოქრო

2002 მსოფლიოს თასი — ვერცხლი

2003 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ (90)

დაიბადა 1981 წლის 2 ივლისს, ახმეტაში

სიმაღლე: 180 სმ; წონა: 92 კგ

ოჯახი: ორი ძმა, და და მშობლები

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

2000 მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში — ოქრო

2001 მსოფლიოს ჩემპიონატი — ვერცხლი

2002 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

2003 მსოფლიოს ჩემპიონატი — ვერცხლი



ᲘᲕᲔᲠᲘ ᲯᲘᲭᲣᲠᲐᲣᲚᲘ (100)

დაიბადა 1976 წლის 22 მარტს, დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში

სიმაღლე: 182 სმ; წონა: 105 კგ

ოჯახი: მეუღლე მაია გობეჯიშვილი, შვილი 6 წლის თეონა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1994 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

1995 ევროპის ჩემპიონატი — ვერცხლი

1998 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

1999 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

2000 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

2001 ევროპის ჩემპიონატი — ბრინჯაო

ᲚᲐᲨᲐ ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ (მძიმე)

დაიბადა 1985 წლის 12 აგვისტოს, თბილისში

სიმაღლე: 185 სმ; წონა: მძიმე

ოჯახი: მეუღლე ცირა ხუბუა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

2001 ახალგაზრდული ოლიმპიადა (ოქრო)

2003 ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი — ოქრო

ᲡᲐᲐᲗᲔᲜᲝ ᲐᲛᲑᲐᲕ-ᲮᲐᲑᲐᲠᲘ

რტსმენს და სამ მსაჯს უნდა ვეჭიდავო. მიუხედავად ამისა, უმაღლეს ჯილდომდე მისვლას ვერაფრით ვერ ვახერხებ. ერთ-ერთი ყველაზე დასანანი სიდნეური მარცხი იყო. ვიგებდი და თან აშკარად ვაქტიურობდი, მსაჯებმა ბრძოლა შეაჩერეს და საოცარი გადაწყვეტილება მიიღეს. მეტოქის ნაცვლად მე გამაფრთხილეს. ეს ქულა დამლუპველი აღმოჩნდა. ჩაგვრის უმთავრესი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ქართველებს მსაჯი არ გვყავს.“

გრიგოლ მამრიკიშვილის უიღბლობა სულ სხვა რამეში, ტრავმებში გამოიხატება. საქართველოს ნაკრებში 19 წლის ასაკში მოხვედრილმა ქუთაისელმა ხელის ტრავმის გამო ბევრი დრო დაკარგა და ათენის ლიცენზიაც ისეთ დროს მოიგო, თითქმის არავინ რომ ელოდა.

გრიგოლ მამრიკიშვილი: „ბოლო წლებში რამდენიმე ისეთი ტრავმა მივიღე, არათუ ტურნირებში, ვარჯიშშიც რომ ხელს მიშლიდა. ქუთაისში საზამთროს დაჭრისას ხელის მყესები ისე გადავიჭერი, ორმა ოპერაციამ ვერ მიშველა. თითები თითქმის მთლიანად გათიშული მქონდა და ეს ჩემს ჭიდაობასაც დაეტყო. 2002 წელს მსოფლიოს თასზე მაინც ვიჭიდავე და ვერცხლი მოვიგე. თითქოს ყველაფერი გამოსწორდა, როცა ბეჭის კუნთი გამიწყდა, მერე კიდევ ერთი მძიმე ტრავმაც გადავიტანე, თუმც 2003-ში ევროპული ბრინჯაოს მოპოვებაც მოვასწარი. თითები ნელ-ნელა ავამოძრავე, ერთადერთი მიზანი ოლიმპიური საგზურის განაღდება იყო და რახან ეს შევძელი, უიღბლობაზე ლაპარაკი აღარ მინდა.“

ტრავმებმა დავით მარგოშვილიც დატანჯა, მაგრამ პირადი მწვრთნელისა და ამავდროულად ექიმ ზურაბ კახაბრიშვილის დახმარებით ბევრიც არაფერი დაუკარგავს.

დავით მარგოშვილი: „17 წლიდან დღემდე დაახლოებით ორ წელზე მეტი ტრავმების გამო გამიცდა. ამან მეტის მიღწევაში ხელი კი შემიშალა, მაგრამ სულ ადვილად შეიძლებოდა, შედეგი გაცილებით სავალალოც ყოფილიყო და დაბრუნებაზე ფიქრი ადრევე დამესრულებინა, მაგრამ ჩემი წარმატებების სულისჩამდგმელმა ზურაბ კახაბრიშვილმა სასწაულები მოახდინა.“

ᲢᲐᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ნესტორ ხერგიანი: 90-იანი წლების დასაწყისში სამბოში გადავედი, მაგრამ სპარტაკიადაზე არ წამიყვანეს და გული ამიცრუვდა. 92-ში ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრები დგებოდა და შესარჩევ შეჯიბრზე წასვლა შემომთავაზეს. არ მინდოდა, მაგრამ მამაჩემი მაძალებდა. ბოლოს როგორც იყო, დამითანხმა, თუმც ერთადერთი ტრანსპორტი ვერტმფრენი უკვე გადაჭედილი იყო. ფანჯრიდან გადავძვერი და ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე კიევში მიმავალ გუნდში მოვხვდი. მედალიც ჩამოვიტანე და მალე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვიმარჯვე.“

ზურაბ ზვიადაური: 2002 წელს სლოვენიაში გადაჭედილ დარბაზში გუნდურ ევროპის ჩემპიონატში ვჭიდაობდით. უცხო მიწაზე ვიყავით და, ცხადია, ერთმანეთის გამხნევება და ყვირილი თვითონ გვიწევდა. ქართულ შეძახილებს უეცრად დარბაზიდანაც გამოეხმაურნენ. კინაღამ გავგიჟდით. სლოვენიაში მოთამაშე ‘ჩვენებური კალათბურთელები მოსულიყვნენ. მათმა მხარდაჭერამ კიდევ უფრო გაგვაძლიერა და მალე ყველამ ერთად ევროპის ჩემპიონობით გავიხარეთ.“

ᲪᲠᲣᲠᲬᲛᲔᲜᲐ

ეს ისეთი დაავადებაა, ბევრ დიდ სპორტსმენსაც რომ ვერ გადაულახავს. ქართველები ცდილობენ, მსგავს რამეებს ყურადღება არ მიაქციონ, თუმც ბოლომდე თავისუფალნიც რომ არ არიან, თავადვე აღიარებენ. ყველაზე საინტერესო ქევხიშვილის ისტორიაა:

დავით ქევხიშვილი: „ადრე ცრურწმენები მართლაც მტანჯავდა. მათ გამო საკუთარ თავს მუდამ ვებრძოდი. აი, ერთი მაგალითიც: მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის აკრედიტაციაზე ორი წელი ზედიზედ ერთი ჯემპრით გავედი და ვერც ერთხელ მედლამდე ვერ მივედი. მესამე წელს რომ ჩავედი და სააკრედიტაციო დარბაზს მივადექი, შევნიშნე, რომ იგივე ჯემპრი მაცვია. სურათებს ყველას ულებდნენ, მე კი არ გადამიღეს, შენი უკვე გვაქვსო. კომპიუტერში რომ ჩავხედე, სასწრაფოდ სხვა სურათი გადამიღეთ-მეთქი ვუთხარი და ჯემპრიც გავიძრე. დიდი გარჩევების შემდეგ როგორც იქნა, დამთანხმდნენ, მაგრამ უკვე თავად გადავიფიქრე, როგორც არის, იყოს, ნავსი უნდა გავტეხომეთქი. ასეც მოხდა. ვერცხლის მედალი ავიღე და დავიფიცე, რომ საბოლოოდ გამოვსწორდებოდი. შევძელი კიდეც, თუმც ახლა პირიქითაც კი ვიქცევი ხოლმე. მაგალითად, უცებ რომ აზრად მომივა ხალიჩაზე მარჯვენა ფეხით შესვლა, სპეციალურად მარცხენათი შევდივარ. ასეთი რამეების აღარ მჯერა, თან უფრო რელიგიურიც გავხდი.“

ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ

ოჯახის მონატრება პირველმა გუჯეჯიანმა ახსენა. ვერც ვერავინ გაამტყუნებს, შინ ხომ ახლადშერთული მეუღლე ელის. ლაშა იქვე დაგვპირდა, ქორწილს ოლიმპიადის დამთავრებისთანავე გადავიხდიო.

ოჯახურ გარემოში ყოფნა ხერგიანმა, ჯიქურაულმა და მამრიკიშვილმაც ინატრეს. ამ უკანასკნელმა დისა და მამისთვის დაბადების დღის მილოცვაც არ დაივიწყა და იქვე გაგვიმხილა, მამაჩემის სიტყვები ნებისმიერი დიდი შეჯიბრის წინ მწვრთნელისას მირჩევნიაო.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ

ძიუდოსგან თავისუფალი დროის გატარებას შვიდეული მშვიდ გარემოში, ახლობელ ადამიანებთან ერთად არჩევს. შვიდივემ ბუნება ახსენა. ნადირობა და თევზაობაც არ დავიწყებიათ, მაგრამ მარგოშვილისა და ქევხიშვილის გატაცება ბევრს გააოცებს. ეს ბიჭები თავისუფალ დროს ლექსების წერაში ატარებენ. ბევრი ჩანაწერიც დაჰგროვებიათ, თუმც გამოქვეყნებაზე არც ერთი ფიქრობს. ქევხიშვილი ამას ოლიმპიური მედლის მოგების შემთხვევაში დაგვპირდა, თან დააყოლა, თუ მედალი ავიღე, ის კიმანო თქვენი ფეშქაში იყოსო. დათოს გატაცება სწავლაცაა და სტუდენტობაშიც ხალიჩაზე არანაკლებ ყოჩაღობს. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს წითელ დიპლომზე ამთავრებს და თურმე საერთაშორისო ტურნირებზე სახელმძღვანელოებიც ბლომად დააქვს.

...ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

სიდნეიში ნამყოფი ხერგიანი და ჯიქურაული ათენს იმედით მიდიან და ოთხი წლის წინანდელზე აღარც ფიქრობენ. დანარჩენებისთვის კი ეს პირველი ოლიმპიადაა და მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ალბათ ცოტათი მაინც ნერვიულობენ. შანსებზე საუბრისას ფავორიტებში ერთმანეთის დასახელებისგან თითქმის ყველა თავს იკავებს. განა იმიტომ, რომ არ სჯერათ — პირიქით. უბრალოდ არ სურთ ვინმე გაანაწყენონ. ისე კი, მედლის შანსი კი ყველას გვაქვსო, ამბობენ.

„ოლიმპიადამ ძლიერი და სუსტი არ იცის, ვისგანაც არ ელოდები, ის იგებს“— ეს სიტყვები გუჯეჯიანმა გვითხრა, მისთვის კი სახელოვან ქართველ მოჭიდავეს ლერი ხაბელოვს უთქვამს.



პირველად იყო აგასი

ცინცინატი. ჰარდი
საპრიზო 2,45 მილიონი €

მესამე წრე

ენდი როდიკი (2, აშშ) — **პარადორნ შრიჩაფანი** (15, ტაილანდი) 6:2, 6:3; **პარლოს მოია** (4, ესპანეთი) — **უეინ ართურსი** (ავსტრალია) 7:6 (7:5), 4:6, 7:6 (7:5); **ლეიტონ ჰიუიტი** (10, ავსტრალია) — **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) 6:1, 6:4; **ანდრე აგასი** (11, აშშ) — **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) 6:3, 6:3; **მარატ საფინი** (14, რუსეთი) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:7 (3:7), 6:4; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) 6:3, 5:7, 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — **გრეგ რუზეცკი** (ბრიტანეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:2); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:0, 6:3

ანდრე აგასიმ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში თავის მეოთხე მეოთხედფინალს უწია. ბებერი ფაკირი მაინცდამაინც ფორმაში ვეღარაა — სხვა თუ არაფერი, ჩოგნით 34 წელს ატარებს — მაგრამ იმდენი ჯადოქრობა კი შერჩენია, ხანდახან მაინც ზედიზედ სამი თამაში მოიგოს. ხოლო როცა კაცი ზედიზედ რამდენიმე თამაშს იგებს, საკუთარი თავისა უფრო მეტად სჯერა ხოლმე. აგასის კი ახლა არაფერი ისე არ სჯირდება, როგორც თავდაჯერებულობა — წინ აშშ-ის ღია პირველობაა და რვაგზის სლემტიტულოსანი არმენოამერიკელიც რაღაცის მიღწევას სწორედ იქ ეშურება.

თუმცა ურიგო ფორმაში არც სხვა ზეპური მეჩოგნეები არიან. ამათგან — ცინცინატობის შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს თუ არ ჩავთვლით — ყველაზე კისკასად ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი ირჯება. ოზბიჭმა იმ დღეს საათზე მხოლოდ სამი წუთით მეტი მოანდომა მეხუთე ნომრად განთესილი ტიმ ჰენმანის ძლევას და ახლა მასთან უკვე 8:0-ით უპირატესობს.

როდიკი ვახსენეთ და ამან სულაც ერთი საათიც კი არ მოანდომა ტაილანდელი პარადორნ შრიჩაფანის დამორჩილებას — მას პირველი მოწოდებიდანვე მიეძალა და თავისი სრულყოფილი ბურთაობით ისე დაშოკა, რომ საჩოგნეზე ერთხელაც არ მიიკარა.

ოდნავ გაუჭირდათ და მეტოქეებს მხოლოდ სამ-სამსეტიანი განდაგანების შედეგად გასცდნენ მარატ საფინი და კარლოს მოია. საფინი აყლაყუდა ხორვატ ივო კარლოვიჩს ედავებოდა, ვისაც უმძლავრესი მოწოდების მეტი არსენალში თითქმის არაფერი მოეძევება, მაგრამ ესეც ჰყოფნის ხოლმე საიმისოდ, რათა უფრო მრავალფეროვან ხალხს საქმე გაუოფლიანოს. საფინ-კარლოვიჩის მსგავსის სცენარით წარიმართა მოიასა და უეინ ართურსის შეხვედრაც — აქაც ყველაფერი გადამწყვეტ სეტში გაირკვა.

აი, ასე და ამგვარად გამოვიდა ის ამბავი, რომ მეოთხედფინალში ამქრის ერთბაშად ხუთი პირველოსანყოფილი გავიდა. აქედან ჰიუიტი გუშგვიანლამ საფინს, ხოლო აგასი მოიას უნდა დასტაკებოდა, როდიკი კი რეიტინგსიის ოდინდელ მეორეადგილოსან ტომი ჰაასთან იბურღავებდა.

ლევან ძელაურაძე

არა იმრუშო!

პროფესორი ვირის აბანოში

ავსტრალიის სასამართლომ არასრულწლოვანთან სექსუალურ ურთიერთობაში დამნაშავედ სცნო და ვირის აბანოში ჩაყუდება მიუსაჯა ცნობილ მწვრთნელს, სპორტის მეცნიერებათა პროფესორს და ჩოგბურთის სამყაროში დიაღ სახელიან ვინმე-ვუნმე გევინ ჰოპერს.

ეს 48 წლის კაცი თავ-თავის დროზე მონიკა სელეშის, ივა მაიოლის, მარკ ფილიპუსისისა და ტომი ჰაასის მწვრთნელი ყოფილა, ხოლო ახლა ქუინზლენდის საჩოგბურთო აკადემიას უძღვება უიმბლდონის 1987 წლის ავსტრალიელსავე ჩემპიონ პატ კეშთან ერთად.

ბრალდების მტკიცებით ჰოპერსა და იმ არასრულწლოვან გოგონას შორის ურთიერთობა 1985 წელს დაწყებულა, როცა ეს უკანასკნელი ჯერაც 14 წლის იყო, და მერე მთელი ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელებულა. ამბავი მავან კოლეჯში ხდებოდა, სადაც ჰოპერი მათემატიკასა და ფიზიკას ასწავლიდა.

აფრიკა იქით იყო

დღეს სამში ერთი გაირკვევა

7 აგვისტო. სიდნეი. „ტელსტრა“

ავსტრალია: ლეითემი, რეთბოუნი, მორტლოკი, ჟიტო, ტუკირი; ლარქემი, გრეგანი (კაპ); ლაიონზი, ვუ, სმიტი, შარპი, ჰარისონი, ბაქსტერი, ქენონი, იანგი
სათადარიგოები: პოლი, დანინგი, ვიკერმანი, რო, ვაიტეკერი, ბერკი, სეილორი

ახალი ზელანდია: მულიაინა, ჰოულეტი, უმაგა (კაპ), კარტერი, როკოკოკო; სპენსერი, მარშალი; რაში, ჰოლა, გიბსი, უილიამსი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, მიიუსი
სათადარიგოები: ჰორი, სომერვილი, მალინგი, ნიუბი, კელეჰერი, მერთენსი, ტუიტუპუ

დღეს ავსტარლიის განაპირა გული სიდნეი წლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ სარაგბო ჯახს მასპინძლობს. ადგილობრივ ვეება და თან ლამაზ „ტელსტრას“ სტადიონზე მასპინძლები ახალზელანდიელებს დაუხვდებიან. ეს შეხლა ეგებ გადამწყვეტიც აღმოჩნდეს 3 ერის თასის წლევანდელ გათამაშებაში, რადგანაც ორი საშინაო გამარჯვების შემდეგ ზელანდიელთ შანსი აქვთ, დროზე ადრე დაიბევონ ჩემპიონობა. ამისათვის მათ სიდნეიში გამარჯვება სჭირდებათ, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება.

მატჩის წინ მხარეები საკმაოდ კომუნიკაბელურები აღმოჩნდნენ და ჟურნალისტებსაც დაუზარლად გასცეს პასუხი შეკითხვებზე. „ვოლაბების“ მწვრთნელი ედი ჯონსი აშკარად კმაყოფილი ჩანდა თავისი გუნდით და იმასაც აღნიშნავდა, ჩვენ ზელანდიელების სისუსტეებს კი არ ვეძებთ, ჩვენი ძლიერი წერტილების პოვნა გვინდაო. ოზების 116-კილოგრამიანი მორკინალი ალ ბაქსტერი კი იმედით აღნიშნავს, რომ შერკინებაში ავსტრალიელთა თამაში ამ ბოლო დროს აშკარად გამოსწორდა და დასტურად სამხრეთ აფრიკასთან გამარჯვება მოჰყავს.

ზელანდიელებიც არ ჩანან უიმედოდ და ძირძველ მეტოქესთან საბრძოლველად მზად არიან. მაორული შუბის წვერივით ბასრი და ჩხვლეტია კარლოს სპენსერი ორ თამაშში მხოლოდ ორი ლელოს გატანას სხვადასხვა სუბიექტურ ფაქტორებს მიაწერს და გააზრებულ, შემტევ თამაშს გვპირდება.

საერთოდ კი ორივე გუნდის მწვრთნელი ემაზე, შეთანხმდა, რომ ეს მატჩი ტურნირის გადამწყვეტი ბრძოლა იქნება. თითქოს ისიც კი დაივიწყეს, რომ მათ გარდა ამ გათამაშებაში სამხრეთ აფრიკაც მონაწილეობს, რომელმაც ორი. მარცხის მიუხედავად, ღირსეულად იომა და ახლა ორი მატჩი სახლში აქვს ჩასატარებელი. ავსტრალია — ახალი ზელანდიის ჯახისას აფრიკელი „ქურციკები“ უთუოდ „ვოლაბებს“ უქომაგებენ, რაკი მათი გამარჯვების შემთხვევაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ რაღაც შანს.

2000 წლიდან დღემდე ავსტრალიელები „მაორებს“ სულ ათჯერ დაუპირისპირდნენ, ბოლს სამი კვირის წინ ახალ ზელანდიაში, სადაც დამარცხდნენ კიდეც. ამ 10 მატჩში მეტოქეებმა ხუთ-ხუთჯერ იმარჯვეს.

მოკლედ, ყოველმხრივ საინტერესო შეხვედრა ელის რაგბის ქომაგს. ამ გუნდების მიერ ერთმანეთში ჩატარებული უინტერესო მატჩი ხომ ისტორიას არც ახსოვს.

ლადო ფულუკიძე

ავსტრალია მაორების ჰაკათი დამფრთხალს არ ჰგავს

ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ბადრი კეთილაძის ფოტო

კონსტანტინე კუპატაძე და ნიკა იზორია:

საბერძნეთიდან ოქროს საწმისს ჩამოვიტანთ!

ათენურ რინგზე მოკრივეები ოლიმპიადის გახსნიდან მეორე დღეს, 14 აგვისტოს გაახურებენ ბრძოლას. ქართველებმა — ნიკა იზორიამ (51კგ) და კონსტანტინე კუპატაძემ (57კგ) წინასაოლიმპიადოდ უკრაინული ქალაქი ალუშტა და ბუქარესტი მოიარეს. ალუშტაში ჩვენმა ბიჭებმა ერთობლივი ვარჯიშები გამართეს და იქ ძირითადად ტექნიკა დახვეწეს, ხოლო ბუქარესტში საერთაშორისო ტურნირზე მიიღეს მონაწილეობა და, მოგეხსენებათ, იზორიამ ოქროც ჩამოიტანა.

ამჟამად კი ნიკასა და კონსტანტინეს სავარჯიშო არეალი ვაკის სანახებია — ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე შეგირდებს დილა-საღამოს ჯერ კროსებით, შემდეგ კი კრივის დარბაზში ტექნიკურ-ტაქტიკაზე ვარჯიშით „ტანჯავს“. შეხედავ ამ ჟინიან ბიჭებს და სულ ფლეგმატიკოსი კაცი რომ იყო, ოპტიმიზი დაგეუფლება. იქნებ ორივეს წინასწარ ჩამოჰკიდო ოლიმპიური მედალი. მოკლედ, 8 აგვისტომდე თბილისური ვარჯიშებია, 9-ში კი ათენისკენ...

„ჩათვალეთ, რომ ფინალში ხართ და ბოლო რაუნდის წინ 2-3 ქულას აგებთ“ — ასე უცაცხანებდა თენგიზ მესხაძე იზორიასა და კუპატაძეს. მწვრთნელი სავსებით კმაყოფილია მზადების პროცესით, ფედერაციამ კარგი შეკრება გაგვიხარა და ბიჭებს ერთი სული აქვთ, როდის ჩავლენ ათენშიო. მესხაძე ქართველთათვის მოუშორებელ ჭირს, მსაჯობასაც შეეხო — მაინც ოლიმპიადაა და ეგრე იოლად აღვირს ვერ აიშვებენო...

სხვა? სხვა უფრო საინტერესო ამბებზე ათენურ ოქროზე დაგეშილი მოკრივეები გვესაუბრებიან:

კონსტანტინე კუპატაძე: „ალუშტური შეკრება იმითაც იყო საინტერესო, რომ ყოველ მესამე დღეს სპარინგები გვქონდა. სულ ნარჩევმა უკრაინელმა, ლიტველმა, ლატვიელმა და ეგვიპტელმა მოკრივეებმა მოიყარეს თავი. რუმინულ ტურნირზე წაგებას კი წაგებას ვერ დავარქმევ — მასპინძელი ლიცენზიანტი შემხვდა და მისთვის მოგება პრესტიჟის საქმე იყო. მსაჯებმაც ყველაფერი „ხუთიანზე“ გააკეთეს, მაგრამ დიდად არც დამწყვეტია გული.

... პირდაპირ ვიტყვი, ათენში ჩემპიონობისთვის მივდივარ. ღმერთმა იცის, იქ რა მოხდება, მაგრამ თუ მიდიხარ, მოსაგებად უნდა წახვიდე. ისე, ბაქიბუქს ვერ დავიწყებ, მაგრამ ჩემი თავის მჯერა.

... ევროპის ჩემპიონატზე ფსიქოლოგიურად წავაგე. ისეთი მოკრივეები გამოვთიშე და ისე იოლად, რომ ყველა უპირობო ჩემპიონობას მიწინასწარმეტყველებდა. სწორედ ზედმეტმა თავდაჯერებამ დამაღალატა ფრანგთან.

... ათენში ჩემი წონის 28 მოკრივიდან ყველა ერთმანეთზე ძლიერია. ძირითად კონკურენტებად მაინც ამერიკელს, კუბელს, ყაზახს და კორეელს მივიჩნევ. ამ 28 კაციდან მხოლოდ 4-ს არ შევხვედრივარ, თუმც მათი სტილიც ხუთი თითივით ვიცი. თანაც ურთიერთშეხვედრებში უმეტეს მათგანთან უპირატესობა მაქვს, მაგრამ ეს მაინც პირობითია, ყველაფერს რინგი გვიჩვენებს.

... ღმერთმა ქნას და თუ მედალს შევწვდი, მას ზურაბ ფალიანისა და ხვიჩა სეთურიძის ხსოვნას მივუძღვნი. ვიცი, როგორ მქომაგობენ მათი ოჯახის წევრები და წარმომიდგენია, როგორ გაიხარებენ. სწორედ ამ ორი დიდი მოკრივის ძალისხმევით ვიპოვე ჩემი თავი კრივში...

ნიკა იზორია: „ბუქარესტული ტურნირის ფინალში მოლდოველ სამოილენკოს მოვუგე, რომლისთვისაც ათენი მესამე ოლიმპიადა იქნება. პოლონელი ბუეჩეკიც დიდად გამოცდილია და სიდნეიში ვერცხლიც მოიპოვა.

... და მაინც, ჩემს წონაში ტაილანდელი მოკრივე გამოირჩევა. ვერცხლისწყალივით მოძრავია და ტექნიკაც კარგი აქვს. ძალიან ძლიერია ფრანგი ტამასი და რუსი ბალაშინიც, რომელთანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალი დავთმე. ისე, მათი საკრივო მანერები კარგად მაქვს შესწავლილი.

... მართალია, აზარტული ვარ და ტოტალიზატორებშიც მირბენია, მაგრამ ახლა პროგნოზებს ნუ გამოკეთებინებთ. რაც მთავარია, ჩინებულად ვარ მომზადებული და ვცდილობ, 14 აგვისტოსთვის პიკს მივაღწიო. მონდომება, ჟინი ყველაფერს შემაძლებინებს და ვეცდები, რომ, როგორც ხორვატიაში, საბერძნეთშიც ავაფრიალო ხუთჯვრიანი დროშა.

... ჩემს წარმატებას კი აწ გარდაცვლილი ფოთელ მოკრივეს, ზურაბ სარსანიას ხსოვნას მივუძღვენი... და, რა თქმა უნდა, მთელ ქართველ ერს.“

საუბარი დასრულებული გვქონდა, როდესაც ნიკა იზორიას ძმამ, ჯანომ, გოჩა ძასოხოვის ამასწინდელი ნათქვამი გაიხსენება — ათენში მოპოვებული ოქრო არგონავტების მიერ წაღებული ოქროს საწმისის დაბრუნების ტოლფასი იქნებაო.

ამაზე სიმბოლური რა იქნება, ფაზისიდან წაღებული ფაზისელ ნიკა იზორიას დაებრუნებინოს...

ილია ნანოგაფვილი

საფორმულო ომდი-ომდი

უილიამსმა ბატონი დაბეზღა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

„სამეფო რბოლებში“ აგვისტო არა მხოლოდ საყოველთაო შვებულების დროა, როცა სამკვირიან სავალდებულო უქმობისას გუნდებს გავარჯიშებაც კი ეკრძალებათ, არამედ სატრანსფერო გააქტიურების პერიოდიცაა.

ინგლისელ ჯენსონ ბატონს BAR-თან ორსეზონიანი კონტრაქტი ორიოდ თვეში ეწურება და თანამშრომლობის გაგრძელებას თითქოს არაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 24 წლის ბრიტანელი მომდინარე საფორმულო ჩემპიონატში ჩინებულად დაჯირითობს, შვიდჯერ შედგა პოდიუმზე და სატურნირო ცხრილშიც შესაშურ, მესამე პოზიციაზეა, მაინც მოუწევს გუნდის დატოვება.

კარიერის დასაწყისში, 2000 წელს, ჯენსონი „უილიამსში“ იჯდა და მაშინ ითქვა, სერ ფრენკმა სამი წლით დაისაკუთრაო, მაგრამ კონტრაქტი რეალურად ხუთსეზონიანი ყოფილა და ბოსმაც ამ უფლებით ისარგებლა. ერთი სიტყვით, „ბენეტონ-რენოსა“ და „ბარ-ში“ დროებითი ვოიაჟის მერე, გავარსკვლავებული ბატონი გუშინ ფრენკ უილიამსმა უკან დაიბრუნა და არაერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

გამოდის რომ, გაისად „უილიამსის“ ღირსებას ლამის ყველაზე ახალგაზრდული ტანდემი დაიცავს — ჯენსონ ბატონი და მასზე სამი წლით უფროსი, ავსტრალიელი მარკ ვებერი.

ცოტაც სხვაზე: „ტოიოტას“ ხელმძღვანელობა ჩემპიონატის ფინიშს არ დაელოდა და უხეირო შედეგის (მხოლოდ სამი ქულა) გამო თავისი ერთ-ერთი პილოტი კრისტიანო და მატა სამსახურიდან დაითხოვა. 30 წლის ბრაზილიელს დარჩენილ ექვს ეტაპზე შეცვლის ორ სეზონში ნარბოლი თანამემამულე რიკარდო ზონტა.

რალფ შუმახერმა თვენახევრის წინ ამერიკაში ავარიისას გაბზარული ორი მალა კი გაიმთელა, მაგრამ ფორმულა 1-ის მთავარმა ექიმმა სიდნი უოტკინსმა ერთი კვირის შემდეგ უნგრეთში გაჯირითების ნება არ მისცა, რეციდივის შემთხვევაში სულაც ინვალიდად დარჩებიო. პატარა შუმიც, მეტი რა ძალაა, დამორჩილდა და მას „ჰუნგაროორინგზეც“ უილიამსის ტესტ-პილოტი ანტონიო პიცონია შეცვლის.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ჰაბუკი წყალბურთელები სტამბოლშიც ყოჩაღობენ

რუსებს აუზი შევაჯავრეთ

აი, გუნდი და პერსპექტივაც... საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები სტამბოლურ აუზშიც მარჯვობს. მოგეხსენებათ, თურქეთის უდიდეს ქალაქში 17-წლამდელთა რვაგუნდიანი საერთაშორისო ტურნირი მიმდანარეობს. გუშინ ჯგუფური მატჩები დასრულდა და სოსო მაისურაძის შეგირდები ურთულესი ჯგუფიდან ნახევარფინალში ცალი ხელით გავიდნენ.

A ჯგუფის პირველ ტურში სერბებითან ბოლო წამებზე მიღწეული ფრის (7:7) შემდეგ, ქართველებმა რუმინელებს 11:9 სძლიეს. სხვათა შორის, ბოლო 5 წუთი კაცნაკულებმა უთამაშიათ (მსაჯმა გურამ კოტარია გააძევა) და ამ მონაკვეთში 3 უპასუხო ბურთი მივიღეთ, თორემ იქამდე რუმინელები არაფრის მაქნისები იყვნენ. რაც შეეხება გოლებს, ნიკოლაიშვილმა და რურუამ 3-3 გაიტანეს, ბუტიკაშვილმა და ქენქაძემ ორ-ორჯერ იხეირეს, ხოლო ერთი ბურთი კოტარიამ შეაგდო.

გუშინ კი, ბოლო ტურში სოსო მაისურაძის ბიჭებმა რუსები მერამდენედ ამოიყვანეს აუზიდან → 9:4. შედეგად, ქართველები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და ბურთების შეფარდებით ჩამორჩნენ სერბებს, რომლებმაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 10-ბურთიანი სხვაობით დაჩაგრეს.

ნახევარფინალში ჩვენი წყალბურთელები B ჯგუფის პირველადგილოსან საფრანგეთს შეხვდებიან, ხოლო სერბები მასპინძელ თურქებთან დაიჭერენ საქმეს.

ილია ნანოგაფვილი

მზადაა

სამრიგად ჩამწკრივებულა ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრები, რომელიც დღეს ახალზელანდიელებს უნდა შეერკინოს სიდნეიში. ამ მეორე ტესტის წინ ზელანდიელებს კვლავაც ხელში უჭირავთ ბლედისლოუს თასი, რომელიც 17 ივლისს ველინგტონში დაიცვეს „ვოლაბების“ ხელყოფისაგან.

REUTERS ბიბლიოთეკიდან

ოლდ ტრეფორდი დასველდა

„მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდოდა, ამხანაგურად გაეთამაშა ინგლისში სამოგზაუროდ მყოფ „ურავა რედ დაიმონდსთან“, მაგრამ „ოლდ ტრეფორდს“ ისეთი წვიმა დაატყდა თავს, რომ თამაშს აზრი აღარ ჰქონდა. საერთოდ, ნათქვამია, მანჩესტერულ წვიმას ბოლო არა აქვსო.

ფინალის წინ

ფინალს გაუსწორდა აზიის ჩემპიონატი, რომელიც ჩინეთში მიმდინარეობს. ჩემპიონი მასპინძელ ჩინელთა და იაპონელთა თამაშში უნდა გამოვლინდეს პეკინში. ორი განთქმული უცხოელი, ჩინელთა თავკაცი არ ჰაანი და იაპონელთა მწვრთნელი ზიკო თასთან მდგომნი ჯი ილიმიან, მაგრამ იაპონიის საელჩო მაინც აფრთხილებს თავის მოქალაქეებს, საქომაგოდ ჩამოსულნი ფრთხილად და ზრდილად იყავითო.

REUTERS ბიბლიოთეკიდან

REUTERS არქივიდან

მაჰმადის ქალები

შენ ისლამი ეძახე და, იორდანიაში ქალებიც გვარიანად თამაშობენ ფეხბურთს. ოღონდაც, თავისებურად, ისლამურად. ამანში, ალ-ჰუსეინის სტადიონზე იორდანიის ახალგაზრდული კლუბისა და ქალთა საფეხბურთო კლუბის გუნდები იბრძვიან თასისთვის. ახალგაზრდებს 3:0 მოუგიათ.

ათენური გამოფენა

ათენში ოლიმპიური გამოფენა გაიხსნა. ეს სპორტული ფეხსაცმელი ისტორიულია. ამით დარბოდა დიადი ვილმა რუდოლფი, პირველი ამერიკელი მორბენალი, ვინც სამი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ვილმა უნიკალური ვინმე იყო, ბავშვობაში ფილტვების ანთება და სახადი სჭირდა და 11 წლამდე საერთოდაც ვერ დადიოდა საგანგებო სარტყლების გარეშე.



REUTERS ათენიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge